საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი, 1 დეკემბერი. 2018 წ. №243 (8644) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ნუგზარ ფოფხაძე:

მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს საკუთარ კონსტიტუციას და ცნობს საერთაშორისო სამართალს და მის ნორმებს, სააკაშვილის ასეთ მოწოდებაზე მყისიერად გააკეთებდა ადგილობრივი კანონმდებლობიდან და საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე რეაქციას.

ერთადერთი ქვეყანა, რომელიც თავს უფლებას მისცემს არ შეიმჩნიოს მსგავსი „ალიყური“, როგორც ჩანს, არის საქართველო.

საგარეო საქმეთა მინისტრს სძინავს?!

3

გიორგი ოთხმეზური:

„ვაშაძე რომ „ოცნების“ კანდიდატი ყოფილიყო, „ნაციონალები“ მოთხრიდნენ პრორუსული წარსულის გამო“...

5

არავითარ რევოლუციას, არეულობას არ ვაპირებთ!

2



6

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი 200 წლისაა

ადგილი საქართველოში, რომელსაც მტრობა არ შეხებია

9

სემეკი სამაგიეროდ მდიდრდება, საოჯახო ბიზნესი კვდება!

ლომბარდების დიდი ნაწილი დაიხურება?!

4

როს უილსონი: დამარცხებულმა პატივი უნდა სცეს არჩევნების შედეგებს!

გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი როს უილსონი მიიღო.

გულთბილ შეხვედრაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ისაუბრა ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, ხაზი გაუსვა ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნების აუცილებლობას და აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გაწეული თანადგომისთვის მადლიერება გამოხატა.

აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის თქმით, დიდია მართლმადიდებელი ეკლესიის როლი საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მან მტკიცე პოზიცია გამოხატა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ აშშ აქტიურად გააგრძელებს ამ მიმართულებით საქართველოს მხარდაჭერას.

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა შიომ განაცხადა, რომ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების ფონზე მნიშვნელოვანია ქრისტიანული ღირებულებების და ოჯახის სიმტკიცის დაცვა და კმაყოფილებით აღნიშნა ამ კუთხით პრეზიდენტ ტრამპის დამოკიდებულების თაობაზე.

შეხვედრაზე ასევე შეფასდა საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები.

„არჩევნების პერიოდი ცოტა რთულია ჩვენთან, რადგან ემოციური ხალხი ვართ. დღემდე დამარცხებულმა მხარემ არ ცნო გამარჯვება სალომე ზურაბიშვილისა,“ — თქვა პატრიარქმა.

„ჩემი პირადი შეხედულება გახლავთ, — განაცხადა ბატონმა ელჩმა, — **რომ საქართველომ უნდა გადალახოს ეს. დემოკრატია თავის თავში გულისხმობს როგორც გამარჯვებას, ასევე დამარცხებასაც და მე ვფიქრობ, რომ პარტიათა ლიდერებმა, რომლებიც ზრუნავენ თავის ქვეყანაზე და ასევე ზრუნავენ თავისი პარტიის გრძელვადიან წარმატებაზე, უნდა აღიარონ ეს. მე ასევე ვურჩიე საქართველოს მთავრობასაც, რომ მათ უნდა გაითვალისწინონ ის რეკომენდაციები, რაც გასცა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მოახდინონ იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რაც არსებობდა. რა თქმა უნდა, ვთვლი, რომ მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ყველამ პატივი სცეს არჩევნების შედეგებს და აღიაროს გამარჯვებულის გამარჯვება.“**

შეხვედრის დასასრულ კათოლიკოს-პატრიარქმა როს უილსონს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვა.

აშშ სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევას ულოცავს

ამერიკის შეერთებული შტატები სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევას ულოცავს. განცხადებას საქართველოში აშშ-ის საელჩო ავრცელებს.

„არჩევნები არის დემოკრატიის საფუძველი და ამ განწყობით ჩვენ ვეთანხმებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის შეფასებას, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური იყო კონკურენტული და კანდიდატებს თავისუფლად შეეძლოთ საარჩევნო კამპანიის წარმოება. ასევე, სხვა ხარვეზებთან ერთად, ვიზიარებთ საერთაშორისო და ადგილობრივი სა-

დამკვირვებლო მისიების შეშფოთებას სახელმწიფო რესურსების ერთი მხარის სასარგებლოდ არასათანადოდ გამოყენების შესახებ. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, აღმოფხვრას ეუთოს მისიისა და სხვა დამკვირვებლების მიერ აღნიშნული ხარვეზები და მზად ვართ, ამ ძალისხმევაში დავეხმაროთ მათ.

შეერთებული შტატები და საქართველო არიან და იქნებიან ძლიერი პარტნიორები. ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს საქართველოს დემოკრატიას, კეთილდღეობას, ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. მხარს ვუჭერთ საქართველოს დასავლურ ინტეგრაციას და მზად ვართ, ჩვენს მეგობრებთან ერთად ვიმუშაოთ ამ ქვეყნის წარმატებისთვის“, — ნათქვამია საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ჩვენი პარტნიორობა დაფუძნებულია ნდობასა და მხარდაჭერაზე...“

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევას ულოცავს.

„გულწრფელად გილოცავთ საქართველოს პრეზიდენ-

ტად არჩევას. საქართველოს და აზერბაიჯანს მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ტრადიციები აკავშირებთ ერთმანეთთან.

მჯერა, რომ გავაგრძელებთ ძალისხმევას ჩვენს ქვეყნებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის გასაძლიერებლად, რომელიც დაფუძნებულია ნდობასა და მხარდაჭერაზე და მომავალშიც გავაგრძელებთ ყველა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და მეგობარი ხალხის კეთილდღეობისკენ მიმართულ საქმიანობაში წარმატებას“, — ნათქვამია აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადებაში.

თუ ვინმე შეეცდება დესტაბილიზაციის მოწყობას, კანონის ძალით გაეცემა პასუხი!

„მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, **რომ ამ გამარჯვებას და ქართველი ხალხის არჩევანს ჩრდილს ვერავინ მიაყენებს. არჩევნების შედეგების ეჭვქვეშ დაყენების ყველა მცდელობა განწირულია დამარცხებისთვის. რა თქმა უნდა, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც კონსტიტუციით და კანონით არის დაცული, მაგრამ ამავე დროს, თუ ვინმე შეეცდება დესტაბილიზაციის მოწყობას, ყველა ასეთ მცდელობას კანონის ძალით გაეცემა პასუხი“,** — განაცხადა ბახტაძემ და აღნიშნა, რომ ორმა მილიონმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში გვყავს მაღალი პასუხისმგებლობის საზოგადოება, შესაბამისად, ყველამ პატივი უნდა სცეს ქართველი ხალხის არჩევანს.

„ჩვენ არ დავუშვებთ, რომ უპასუხისმგებლო ლიდერების გამო საფრთხე დაემუქროთ მათ. ჩვენ არ დავუშვებთ რევოლუციურ და რევანშისტულ სცენარებს და არეულობის შემოტანის მცდელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფო დაიცავს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას და მშვიდობიანი პროტესტის უფლებას“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

კრიმინალი სააკაშვილის განცხადებები საერთოდ არ არის საინტერესო!

— ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციის მოთხოვნასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, მოთხოვნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით არასერიოზულია. „ნაციონალური მოძრაობა“ არის დესტრუქციული ძალა, რომელიც ქვეყანაში ეწინააღმდეგება სიმშვიდეს, თუმცა ქართველი ხალხი არის ბრძენი და ყველაფერს ხედავს“.

მისივე განცხადებით, ეს არის დამარცხებული გუნდი და მოსახლეობამ კიდევ ერთხელ უთხრა არა ძალადობას, კიდევ ერთხელ უთხრა არა სიძულვილს.

„ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ქვეყნის დაბრუნება წარსულში. ძალიან მწარე და მძიმე გამოცდილება გვაქვს, რა ხდებოდა ქვეყანაში, როგორი მდგომარეობა იყო, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, თუ როგორი საქართველო გვინდა, როგორ უნდა მოვაგვაროთ პრობლემები, როგორ უნდა გავუმკლავდეთ გამოწვევებს, რომელიც აწუხებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას. საერთოდ არ არის საინტერესო კრიმინალი სააკაშვილის განცხადებები“, — განაცხადა კალაძემ.

არავითარ რევოლუციას, არეულობას დაპირისპირებას არ ვაპირებთ!

— აცხადებს გაერთიანებული ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე ოპოზიციის დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით:

„ვაპირებთ იმის გაკეთებას, რის უფლებასაც გვაძლევს კონსტიტუცია და საქართველოს კანონმდებლობა იმიტომ, რომ ჯერჯერობით რისი გაუქმებაც ვერ მოასწრო ივანიშვილმა ამ ქვეყანაში, არის შეკრებისა და სიტყვის თავისუფლება. ასე რომ, სრული კონსტიტუციური უფლება გვაქვს, შევიკრიბოთ იქ, სადაც საჭიროდ ვთვლით.

რაც შეეხება იმ ადამიანს, თავის თავს საქართველოს პრემიერ-მინისტრს რომ ეძახის, ჯობია, საქართველოს მოქალაქის ეკონომიკურ მდგომარეობას მიხედოს, ლარის ვარდნა შეაჩეროს და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა უზრუნველყოს ისე, რომ სიღარიბეში არ ჩაიხრჩოს ეს ქვეყანა და არ დაიცალოს საერთოდ მოსახლეობისგან“, — განაცხადა ვაშაძემ.

საქართველოს მოსახლეობამ იცის, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვი ნატოს ალტერნატივა არ არსებობს

— ასე უპასუხა სალომე ზურაბიშვილმა BBC-ს ჟურნალისტს შეკითხვაზე, ხომ არ დაიღალა საქართველოს მოსახლეობა დასავლეთისგან დაპირებით, რადგან საქართველომ ნატოში გაწევრიანების სურვილი 15 წლის წინათ გამოაცხადა და ბევრი დაპირების მიუხედავად, ბევრი რამ არ გაკეთებულა.

„საქართველომ, უპირველეს ყოვლისა, მიიღო, თუმცა არა ნატოსგან, ასოცირების შეთანხმება. და ჩვენ ვხედავთ ამის კონკრეტულ შედეგებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. საქართველოს მოსახლეობამ, ასევე იციან, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვართ ნატოს წევრი, უსაფრთხოებისთვის უზრუნველყოფისთვის, ნატოს ალტერნატივა არ არსებობს.

„რასაც დღეს უკრაინაში ვხედავთ, საქართველოს ხალხს უბიძგებს მხოლოდ იმ აზრისკენ, რომ ჩვენ გვჭირდება მეტი ნატო. ამიტომაც, არ ვფიქრობ, რომ საქართველოს ევროპელი მოქალაქეები იმედგაცრუებულები არიან ევროპით. პირიქით, ისინი იმედოვნებენ, რომ ევროპასთან დაახლოებას შეძლებენ და ვფიქრობ, მათ მიერ ჩემი მხარდაჭერა, ამის დასტურია“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით მასთან დიალოგის ყოველგვარ შესაძლებლობას ბლოკავს

სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, BBC-ის რუსული ბიუროსთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ იმ დროს, როდესაც რუსეთი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობას აღიარებს, ეს რუსეთთან ყოველგვარი დიალოგის შესაძლებლობას ბლოკავს.

BBC: თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ რუსეთი. ვინ არის თქვენთვის ვლადიმირ პუტინი?

სალომე ზურაბიშვილი: როდესაც მის საგარეო საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის შესახებ, ვლადიმირ პუტინი სხვა ადამიანი იყო, ვიდრე დღეს არის, რადგან მაშინ რუსეთი დათანხმდა საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების გაყვანას.

არ ფიქრობ, რომ დღესაც ასე მოხდებოდა, თუნდაც იგივე დიპლომატიური შესაძლებლობები მქონოდა. ვფიქრობ, რომ ახლა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ის ფაქტი, რომ რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობას აღიარებს, მასთან დიალოგის ყოველგვარ შესაძლებლობას ბლოკავს.

მომავალში მსგავსი რამისთვის ჩვენ ისეთივე კონფიგურაცია გვჭირდება, როგორც იმ დროს იყო, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, კონკრეტულად: ახლოს უნდა ვიმუშაოთ ჩვენს ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან.

იმ კონფიგურაციაში, რომელიც ახლა გვაქვს, რუსეთის აგრესიული განწყობის გათვალისწინებით, არ შეიძლება მარტო დავრჩეთ. ამიტომ ახლოს უნდა ვიყოთ ჩვენს პარტნიორებთან — მათ გვერდით და მათ ზურგს უკან, — ამბობს სალომე ზურაბიშვილი ინტერვიუში.

BBC: **როგორც პრეზიდენტმა, რა უნდა გააკეთოთ ცვლილებების მისაღწევად?**

სალომე ზურაბიშვილი: არსებობს ორი მიმართულება, სადაც პრეზიდენტი ძალიან აქტიური უნდა იყოს. პირველი, ეს არის საერთაშორისო პოლიტიკა, ეს კონსტიტუციაში წერია. ეს 6 წელი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვის, რომელიც ევროპაში, ევროკავშირსა და ნატოში გაერთიანებისათვის იბრძვის.

ამ დროის განმავლობაში ჩვენ მას უფრო მეტად უნდა დავუახლოვდეთ ან სრულად ვინტეგრირდეთ. ამ საკითხში ყველაზე აქტიური პრეზიდენტი ვიქნები. მემახსოვრება, რომ სწორედ ქალბატონმა ვიკე-ფრეიბერგამ (ლატვიის პრეზიდენტი 1999-2007 წლებში) თავისი ქვეყანა გააწევრიანა ევროკავშირსა და ნატოში. ჩემი მიზანიც ეს არის.

საქართველო უნდა გახდეს უფრო ცნობადი მსოფლიო რუკაზე უამრავ ასპექტში. მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რას წარმოადგენს საქართველო, რადგან ბევრ ქვეყანაში ხალხმა ეს არ იცის. მათ საქართველო მხოლოდ რუკაზე აქვთ ნანახი და სინამდვილეში ჩვენს შესახებ არაფერი იციან.

მე ევროპაში გავიზარდე, ვიყავი ფრანგი დიპლომატი 30-ზე მეტი წლის განმავლობაში. ვიცი, რა არის ევროპული თანამეგობრობა, როგორ უნდა ვიაროთ მისი მიმართულებით და როგორ გავაერთიანოთ ხალხი მის გარშემო. ჩვენ უნდა გამოვიდეთ პოსტსაბჭოთა მენტალობის ჩარჩოებიდან, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლო 25 წლის განმავლობაში მაინც იყო ჩვენში გამჯდარი.

უნდა გავაერთიანოთ ხალხი, რადგან თუ ქვეყნის შიგნით არ გავერთიანდებით, ვერ დავიბრუნებთ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს. და ახლა ეს ქართველი ხალხის ყველაზე მნიშვნელოვანი და საერთო მიზანია.

საგარეო საქმეთა მინისტრს სძინავს?!

ან არ არის კომპეტენტური, ან, გახლავთ... მხდალი!

ჯერ პატარა შესავალი: როგორც კი მიხეილ სააკაშვილმა „სკაიპით“ მიმართა საქართველოს, სადაც გააჟღერა ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის საწინააღმდეგო პროვოკაციული მოწოდებები, ინტერნეტში, ფეისბუკის საკუთარ გვერდიდან კომპეტენტურ სტრუქტურებს მივმართე ასე:

ცხელ გულზე დაგადებული ორი ლეგიტიმური შეკითხვა.

1. ქვეყნის ყოფილი მთავარსარდლის მხრიდან ჯარისთვის დაუმორჩილებლობისკენ მოწოდება რომელ სამართლებლივ ჩარჩოში ჯდება, აუხსნის თუ არა საზოგადოებას ყველაზე „ავტორიტეტული“ და „გავლენიანი“ არასამთავრობო სტრუქტურის ბოსი – ქალბატონი კაპიტანი გიგაური?

2. ასევე, ძალოვნების – ჯარისა და პოლიციის მხრიდან კონსტიტუციის „ფეხებზე დაკიდების“ მოწოდება და სხვა სახის (თუნდაც, ლეგიტიმური) „არეულობა“ რჩევის სახით კი არა, სამოქმედო გეგმად (დირექტივად) დაანონსება, უნდა „გადაყლაპოს“ ქართულმა სახელმწიფომ და საზოგადოებამ?

P. S. ხვალამდე დაველოდები შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურის რეაქციას. კიდევ ერთხელ მინდა დავრწმუნდე მავანის და მავანის კომპეტენციაში თუ პოლიტიკური ნების გამოვლინების სურვილში, მერე კი არგუმენტირებულად მივმართავ ჩვენს საზოგადოებას.

რა თქმა უნდა, დავიცავი პოსტკრიპტუმში გახმიანებული პირობა და დაველოდე ოფიციალურ რეაქციას. უწინარესად, საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან. სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობია, გადაიდგა თუ არა ადეკვატური, საერთაშორისო დიპლომატიურ პრაქტიკაში აპრობირებული და აუცილებელი ნაბიჯი.

ვიმეორებ: ექსპრეზიდენტმა, რომელსაც, ჩემი მონაცემებით, არ აქვს არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა და იმ ქვეყნის ტერიტორიიდან, სადაც „სტუმრის“ სტატუსით იმყოფება („ცოლოურს“), ორი დღის განმავლობაში, ტელეარხებით გადაცემულ საჯარო გამოსვლებში მოუწოდა ქართული სახელმწიფოს ძალოვან სტრუქტურებს – ჯარს და პოლიციას, არ დაემორჩილონ(!!!), არ შეასრულონ(!!!) საქართველოს კონსტიტუციური ორგანოების მითითებები, ბრძანებები, რომლებიც მისივე სიტყვებით – უკანონოა.

მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს საკუთარ კონსტიტუციას და ცნობს საერთაშორისო სამართალს და მის ნორმებს, ასეთ მოწოდებაზე მყისიერად გააკეთებდა ადგილობრივი კანონმდებლობიდან და საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე რეაქციას.

ერთადერთი ქვეყანა, რომელიც თავს უფლებას მისცემს არ შეიმჩნიოს მსგავსი „ალიყური“, როგორც ჩანს, არის საქართველო. და მსგავსი „სირაქლემას პოზიცია“ ჩვენი ქვეყნისთვის, სამწუხაროდ, პირველი არ არის...

ამ ორიოდე წლის წინათ, პრაქტიკულად „გადავყლაპეთ“ ევროკავშირის ელჩის უტაქტო გამონათქვამები ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, რომლებიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა თავად ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას. ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროს ნარცისულმა თავკაცობამ ეს „გაუგებრობა“ მიაფუჩეჩა.

სულ ცოტა ხნის წინათ, ასეთი გულსატკენი საყვედური გამოვთქვით ერთი ამერიკელი კონგრესმენის ყოვლად უგვანო გამოსვლისა გამო. ასევე, სამწუხაროდ, მაშინდელი რეპლიკაც ამ სამინისტროს მხრიდან დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ოღონდ ჩვენთან, თორემ შეერთებულ შტატებში გამართულმა შუალედურმა არჩევნებმა გული კი მოგვფხანა იმით, რომ ეს „პოლიტიკურად კორუმპირებული“ კანონმდებელი, რომელიც სამშობლოში გასილაქებული მოდეპუტატო კანდელაკების ცრუ ინფორმაციებით საზრდოობდა, ამერიკელმა ამომრჩეველმა გამოაპანღურა კონგრესიდან. და ამით ხატოვანი მაგალითი უჩვენა ჩვენს მეტისმეტად მხდალ დიპლომატიურ უწყებას. და მისი ჩინოსნების ლუღლუღი სტრატეგიული პარტნიორისადმი რაღაც განსაკუთრებული, ფრთხილი დამოკიდებულების აუცილებლობის შესახებ, მხოლოდ ღიმილს კი არ იწვევდა, არამედ „ჩასვრის“ განცდასაც.

თითქმის მსგავსი ვითარებაა ახლაც. ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ კვლავ(!!!) არ შეიმჩნია სახელმწიფოს მიმართ გამოთქმული შეურაცხყოფა – ღია მუქარები და აშკარა ანტიკონსტიტუციური მოწოდებები და პროვოკაციისადმი გამოხატვა – დამოკიდებულების ფორმად აირჩია... დუმილი!!! ჯერჯერობით, ასე ჩანს. არც კი ვიცით, დუმილის მიზეზი ისევ სიმხდალეა თუ ყალბი სიბრძნე, უვიცობა თუ პროფესიული გამოუცდელობა. ასეა თუ ისე, საზოგადოებისთვის ეს ბრიყვული პოზიცია გაუგებარია.

არადა, როგორც კი გახდა ცნობილი ექსპრეზიდენტ საააკაშვილის ყოვლად უმსგავსო და სახიფათო მოწოდებები, საგარეო საქმეთა სამინისტროში მყისიერად უნდა გამოეძახებინათ ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და ჩვენი პროტესტის პარალელურად, მოესმინათ ელჩის შესაბამისი განმარტება და კატეგორიულად მოეთხოვა მისი მთავრობისგან არა მარტო აღეკვეთა მისი ტერიტორიიდან „პოლიტიკური ბომჟის“ აღმაშფოთებელი განცხადებები, რომლებიც მიმართულია მეგობარი სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ მოეთხოვათ მისთვის იქაური კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხი. ამასთან, უმკაცრესად გაეფრთხილებინა იგი, რომ განმეორების შემთხვევაში მას მოუწევს იმ სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვება, რომელმაც იგი შეიფარა.

აი, ასეთ რეაგირებას გულისხმობს საერთაშორისო პრაქტიკა.

დავიჯერო, ეს არ იცის ჩვენმა დიპლომატიურმა უწყებამ?

მჯერა, რომ იცის, მაგრამ ...

იმასაც ვვარაუდობ, რომ ასეთი მხდალი და „საიდანაც ქარი ქროდა“ სამინისტრო და მისი თავკაცი ჩვენ არ გვყოლია. და ეს მდგომარეობა ფოტოგრაფიული სიზუსტით გადაეცემა ჩვენს საელჩოებს, ახდენს ნეგატიურ გავლენას ქართულ დიასპორაზე. ამის დამადასტურებელი ფაქტების მოძიება არ გაჭირდება. ამის დასტური გახლავთ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიც, რაც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ემიგრაცია საფუძვლიანად არ არის საქმის კურსში იმ რეალობაზე, რაც სამშობლოში სუფევს.

ეგებ ესეც არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენს უცხოელ მეგობრებს დღემდე არ აქვთ სრული, ობიექტური, მრავლისმომცველი ინფორმაცია იმ პროცესებზე, რითაც ხასიათდება დღევანდელი ქართული სინამდვილე.

ფილარმონიაში ხუთშაბათს გამართული შეკრება სწორედ იმის დასტურია, რაც ამ პუბლიკაციებში მოგახსენეთ.

მკითხველს ისიც უნდა შევახსენო, რომ ეს პუბლიკაციები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა, რომელსაც, წესით, ყველა ხელმძღვანელი მუშაკი უნდა კითხულობდეს!!!



ნუგზარ ფოფხაძე

რა ქონებით მოდის პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილი?

საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, თბილისსა და პარიზში უძრავ ქონებას ფლობს.

კერძოდ, სალომე ზურაბიშვილის მიერ 2018 წლის 17 იანვარს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, იგი **2006 წლიდან თბილისში, კუფტინის ქუჩაზე 126,33 კვ.მ. ფართობის სახლსა და 235 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთს ფლობს. ამ უკანასკნელის ღირებულება 160 000 დოლარად არის შეფასებული.**

ამასთან, **1989 წლიდან ზურაბიშვილის საკუთრებაშია პარიზში მდებარე 60 კვ.მ ფართობის ბინა, რომლის ღირებულება 150 000 ევროა.**

დოკუმენტის თანახმად, **2016 წლიდან ზურაბიშვილის მფლობელობაშია 17 000 აშშ დოლარის ღირებულების ავტომანქანა „Hyundai 2012“.**

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, დეპუტატს **„საქართველოს ბანკში“ 50 000 აშშ დოლარის ოდენობის ანაბარი აქვს, ხოლო პარიზში მდებარე ბანკში – 7400 ევრო.**

სალომე ზურაბიშვილმა, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრმა, **2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ხელფასის სახით 57 645 ლარი აიღო.**

ოჯახის წევრთა შესახებ ინფორმაცია დეკლარაციაში მითითებული არ არის.

ჯარის დამოუკიდებლობას მაქსიმალურად დავიცავთ!

ჯარის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრიობა, ყოველგვარი მსგავსი შემოტევებისგან მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული, – ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ საბრძოლო მომზადების ცენტრში (CTC) გამართულ ღონისძიებაზე განაცხადა.

„ზოგიერთი უპასუხისმგებლო პოლიტიკოსი, ეგრეთ წოდებულ, სამოქალაქო დაუმორჩილებლობაზე საუბრობს და ამ კონტექსტში ჯარს მოიხსენიებს. პირადად, მე და თითოეული ჩვენგანი გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ეს მონაპოვარი – ჯარის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრიობა, ყოველგვარი მსგავსი შემოტევებისგან მაქსიმალურად იყოს დაცული“, – განაცხადა იზორიამ. თავდაცვის მინისტრმა III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამით (GDRP) გათვალისწინებული მომზადების დასრულება მიულოცა.

28-29 ნოემბერს პოლიციამ გამოძიება დანაშაულის 24 ფაქტზე დაიწყო!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არჩევნებთან დაკავშირებულ სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

„გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებულ სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეაგირების შესახებ. 2018 წლის 28-29 ნოემბერს პოლიციამ გამოძიება დაიწყო სავარაუდო დანაშაულის 24 ფაქტზე, მათ შორის:

ძალადობის შესაძლო ჩადენის 13 ფაქტზე:

საქართველოს სსკ-ის 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობა) – 8 ფაქტი;

საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა) – 4 ფაქტი;

საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ხულიგნობა) – 1 ფაქტი;

არაძალადობრივი დანაშაულის შესაძლო ჩადენის 5 ფაქტზე:

საქართველოს სსკ-ის 163-ე მუხლისა და 160-ე მუხლის პირველი ნაწილით (საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა; მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა) – 1 ფაქტი;

საქართველოს სსკ-ის 164-ე მუხლით (ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა) – 1 ფაქტი;

საქართველოს სსკ-ის 164-ე სეკუნდა მუხლით (არჩევნებში არაერთგზის ხმის მიცემა) – 1 ფაქტი;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა) – 2 ფაქტი;

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის შესაძლო ჩადენის 6 ფაქტზე:

საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით (ქურდობა) – 2 ფაქტი;

საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება) – 4 ფაქტი“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

სემეკი სამმაგად მდიდრდება, საოჯახო ბიზნესი კვდება!

წყლის, გაზის და დენის ტარიფის გაზრდის გამო საოჯახო სასტუმროების 90% არალეგალურად მუშაობს!...

მიმდინარე წლის ზაფხულის ტურისტული სეზონი საოჯახო სასტუმროებმა ჯარიმებითა და სემეკში არსებული დავებით დაასრულეს. მოქალაქეებმა, რომლებიც თბილისში საცხოვრებელ ფართს დღიურად აქირავებენ Booking.com-ის ან Airbnb-ის საშუალებით, წყლის მომწოდებელ კომპანიას GWP-ს მარეგულირებელ კომისიაში უჩივლეს, მიზეზი წყლის გადასახადის საყოფაცხოვრებოს ნაცვლად, კომერციული ტარიფით დარიცხვა და დაკისრებული ჯარიმები იყო.

კომერსანტი დაინტერესდა რა შედეგით დასრულდა სემეკში განხილვების პროცესი.

ბაბილინა ჩითინაშვილი, რომელიც ერთ-ერთია დაზარალებულთა შორის, ამბობს, რომ მისი საქმის განხილვა დიდი ხანია უშედეგოდ მიმდინარეობს. ის სახლში მეუღლესა და 4 შვილთან ერთად ცხოვრობს და ოთახს პერიოდულად აქირავებს ,ამის შესახებ ინფორმაცია booking.com-ზე ჰქონდა განთავსებული.მისი თქმით **GWP**-ის წარმომადგენლებმა სახლში მიაკითხეს, მოსთხოვეს სველი წერტილების გამიჯვნა და 1700 ლარით დააჯარიმეს.

„ამ პრობლემის წინაშე, ზაფხულში აღმოვჩნდი, თუმცა სემეკში განხილვა ტარიფთან და ჯარიმასთან დაკავშირებით კვლავ მიმდინარეობს. ვერ გვისაბუთებენ, აქამდე რატომ არ მიიღეს გადაწყვეტილება, უკვე ორჯერ გადადეს მოსმენა. წესით 2 ნოემბერს უნდა მიეღოთ საბოლოო გადაწყვეტილება“, — განაცხადა ბაბილინა ჩითინაშვილმა

სემეკში განხილვების გაჭიანურებას განსახილველი საქმეების სიმრავლით ხსნიან.

„ძალიან ბევრი განცხადება შემოვიდა, თავდაპირველად ორი განცხადება იყო და შემდეგ უკვე ბევრად მეტი, შესაბამისად ეს ერთიანი სისტემით ვერ დარეგულირდება და კომისიას დრო სჭირდება იმისთვის, რომ ცალკეული საქმეები შეისწავლოს“, — ამბობენ სემეკში

კომერსანტთან **GWP**-ის ქმედების დარეგულირების აუცილებლობაზე საუბრობს **შალვა ალავერდაშვილი,** რესტორნების ასოციაციის ხელმძღვანელი. მისი თქმით, მცირე საოჯახო სასტუმროების დაბეგვრის არსებული სისტემა მნიშვნელოვნად აფერხებს სასტუმრო ბიზნესის განვითარებას და ჩრდილოვან გარიგებებს უწყობს ხელს.

„როგორც კი იწყებ კომერციულ საქმიანობას, წყლის, გაზის და დენის ტარიფი გადადის იურიდიული პირის ტარიფზე, რაც რიგ შემთხვევაში 2-3-ჯერ აღემატება ფიზიკური პირის ტარიფს. სწორედ ამიტომ საქართველოში საოჯახო სასტუმროების 90% არალეგალურად მუშაობს გადასახადისთვის თავის არიდების მიზნით, ისინი ერიდებიან რეკლამირებას ან აბრის გაკეთებას, ასევე გაფართოებას, რაც ბიზნესის განვითარებას აფერხებს. ადამიანს, რომელსაც აქვს სამოთახიანი ბინა, სადაც თვითონაც ცხოვრობს და ორ ოთახს აქირავებს, მოსთხოვო გამიჯვნის გაკეთება და კომერციული ტარიფის გადახდა, აბსურდულია. შესაბამისად, ადამიანები ცდილობენ, თავი აარიდონ იურიდიულ პირად დარეგისტრირებას. ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ ყველა ორგანოს, ეკონომიკის სამინისტროდან დაწყებული, ფინანსთა სამინისტროთი დამთავრებული. სემეკსაც შევხვდით. ვთხოვეთ, რომ 5 და 5 ოთახზე ნაკლები საოჯახო სასტუმროები, სადაც თვითონვე ცხოვრობს მასპინძელი ფიზიკური პირის ტარიფზე დაგვეტოვებინა, რაზეც უარი მივიღეთ. ახლა GWP-მ დაიწყო კარდაკარ სიარული და შემოწმება. აუცილებელია ეს მოგვარდეს“, — განაცხადა შალვა ალავერდაშვილმა

მარიამ ტიტვინიძე

სასიხარულოა, რომ გასული თვის ეკონომიკურმა ზრდამ 6,7 პროცენტს მიაღწია

მიუხედავად **წინასაარჩევნო ემოციებისა, სასიხარულოა, რომ ეკონომიკური ზრდა გასულ თვეს დაფიქსირდა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი,** — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

„ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 6.7%, რაც ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ საქართველო არის შემდგარი დემოკრატია და მიუხედავად ხშირ შემთხვევაში ძალიან ზღვარგადასული ემოციებისა, ქვეყანა ვითარდება სტაბილურად და ეს გახლავთ ძალიან დიდი მონაპოვარი. მე დარწმუნებული ვარ, რომ შედეგები კიდევ უკეთესი გვექნება და საერთო ძალისხმევით, ჩვენს ხალხთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და პროგრესი ყველა მიმართულებით იქნება შეუქცევადი და კიდევ უფრო მდგრადი“, — განაცხადა ბახტაძემ.

ახალი ტურისტული პროექტი გონიოს ციხესთან

აჭარის **მთავრობა გონიოში, „პატარა ჭოროხის“ მიმდებარე ტერიტორიაზე (გონიოს ციხესთან), ახალ ტურისტულ პროექტს აანონსებს. საინვესტიციო პროექტი 48 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე უნდა განთავსდეს, რაც რეგიონისათვის დამატებით ინვესტიციებს და ტურისტულ ნაკადებს გულისხმობს.**

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე, თორნიკე კუჭავა ამბობს, რომ ვიდრე პროექტს ინვესტორებს შესთავაზებენ, აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანების გეგმის დამტკიცება უნდა მოხდეს.

„პირველ რიგში შემუშავდება განაშენიანების გეგმა და მოხდება მისი დამტკიცება. აღნიშნულ გეგმაში გაითვალისწინება ყველა კონკრეტულ ადგილას თუ რა ტიპის შენობები უნდა იყოს, რომელ კოეფიციენტებს უნდა აკმაყოფილებდეს და ასე შემდეგ.

მთლიანი სივრცის ათვისება იქნება დამტკიცებული. მისი დამტკიცება ძალიან დიდ დროს არ წაიღებს, საუბარია რამდენიმე თვეზე. შემდეგ დავიწყებთ საინვესტიციო შეთავაზებების გაკეთებას“, — განმარტავს თორნიკე კუჭავა. მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ 48 ჰა საინვესტიციო მიწის ნაკვეთი დაიყოფა ლოტებად და მათი გასხვისება შესაბამის აუქციონებზე მოხდება.

ამორტიზებული საჰაერო-საბაგირო გზის დემონტაჟი მალე დასრულდება

„მწვანე კონცხზე“ ასასვლელი ამორტიზებული საჰაერო-საბაგირო გზის დემონტაჟი 20 დეკემბრამდე უნდა დასრულდეს.

საბაგირო გზის მზიდი კონსტრუქციების უმეტესი ნაწილი ამორტიზებულია და აღდგენა-გამაგრებას არ ექვემდებარება. კონსტრუქციების უმეტესი ნაწილი მწყობრიდანაა გამოსული და საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია სრული დემონტაჟი. დემონტაჟის შესახებ ხელშეკრულებას ხელი უკვე მოეწერა, რომლის შესაბამისად, „მწვანე კონცხზე“ ასასვლელი საჰაერო-საბაგირო გზის კონსტრუქციათა სისტემის ლითონისა და ბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი და ნარჩენების ტერიტორიიდან გატანის სამუშაოები განხორციელდება.

ლომბარდების დიდი ნაწილი დაიხურება?!

სალომბარდე **ბიზნესი ეროვნული ბანკისგან 2019 წლის 1 იანვრიდან ასამოქმედებელი რეგულაციების 1-2 წლით გადავადებას და ლიბერალიზაციას ითხოვს. მათი წარმომადგენლების აზრით, პერსპექტივა იმდენად უიმედოა, რომ ლომბარდებს დახურვა ემუქრება. ამით კი ხალხს სწრაფი ფულის მიღების საშუალება მოესპობა. ექსპერტთა ნაწილი კი ფიქრობს, ლომბარდები არსებული ვითარებიდანაც იპოვიან გამოსავალს.**

არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის თავმჯდომარე **ირაკლი ბერძენაძე** აღნიშნავს, რომ რეგულაციების ამოქმედება უნდა გადაიდოს, რადგან ეროვნული ბანკის მოთხოვნებში ძალიან ბევრი შეუსაბამობაა და მას ლომბარდები ვერ დააკმაყოფილებენ.

პრობლემად რჩება სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრაციის პროცესი. მისი ინფორმაციით, სარეგისტრაციო თანხა შეადგენს 10000 ლარს. გარდა ამისა, 1 იანვრამდე ნებისმიერმა სუბიექტმა, გამსესხებელმა უნდა წარმოადგინოს საბუთები ეროვნულ ბანკში, რომელიც საკმაოდ დიდ ინფორმაციას მოიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2019 წლის 31 მარტიდან მას ეკრძალება სესხების ამოღებაც კი.

ახალი რეგულაციით, ლომბარდები ვალდებულები ხდებიან საგადასახადოსთან ერთად, გარკვეული სახის ინფორმაცია ეროვნულ ბანკშიც წარადგინონ. გარდა ამისა, განიხილება ისიც, რომ ლომბარდებს ურთიერთობა ჰქონდეთ „კრედიტინფოსთან“, თუმცა, რა ფორმით მოხდება მათი თანამშრომლობა, უცნობია. ბერძენაძის პროგნოზით, სალომბარდე ბიზნესს ძალიან ცუდი პერსპექტივა აქვს — ან დაიხურებიან, ან მათ პორტფელს ბანკები იყიდან.

„მცირე და საშუალო ლომბარდები ვერ გაუძლებენ იმ ხარჯებს და ვალდებულებებს, რაც აქვთ. გარდა ამისა, ბანკები მათ პორტფელს ძალიან მიზერულ ფასად იყიდიან. ეს გამოიწვევს იმას, რომ ლომბარდებში დასაქმებული ამდენი ადამიანი უმუშევარი დარჩება“, — აცხადებს „კომერსანტთან“ ბერძენაძე.

საქართველოში 1000-ზე მეტი მოქმედი ლომბარდია, ხოლო მათ 10 000-მდე მუდმივი მომხმარებელი აკითხავს. სებმა მორიგ ახალ რეგულაციებზე სექტორს ინფორმაცია სექტემბრის ბოლოს მიაწოდა. საბანკო სფეროს სპეციალისტი ლია ელიავა აცხადებს, რომ სალომბარდო ბაზარი იმდენად მომგებიანია, თავისი ნებით ამ ბიზნესიდან არავინ გავა.

„ლომბარდების რაოდენობა რამდენიმე ასეულს ითვლის. შეიძლება, ვიღაცამ იფიქროს, რომ ეს ლომბარდების შემცირებას გამოიწვევს, მაგრამ ამ ტიპის საქმიანობა არის იმდენად მომგებიანი, რომ ბიზნესიდან არავინ წავა საკუთარი ნებით. ამიტომ ვვარაუდობ, რომ ლომბარდების დიდი ნაწილი ბაზარზე აუცილებლად დარჩება. რეგულირების შემდეგ ახალი რეალობა დადგება და ისინი შეეგუებიან ისევე როგორც თავის დროზე ლარში სესხების გაცემის რეგულაციას შეეგუენ“, — განაცხადა ელიავამ.

გეძა დანელია

„ვაშაძე რომ „ოცნების“ კანდიდატი ყოფილიყო, „ნაციონალები“ მოთხრიდნენ პრორუსული წარსულის გამო“...



„როდესაც ადამიანს დანაშაული აქვს ჩადენილი და ამ დანაშაულზე პასუხს მოსთხოვ, ეს სულაც არ არის დევნა. სწორედ ეს არ გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ და დამნაშავეები კიდევ აქეთ გვმოძღვრავენ“, — აცხადებს ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი **გიორგი ოთხმეზური** და ქართული პოლიტიკური ცხოვრების სამომავლო პერსპექტივაზე საუბრობს.

— ემიგრანტები განსხვავებულად ხედავენ საქართველოს ყოფას. თუმცა არც ის არის გამოსარიცხი, რომ ისინი გაცილებით უკეთ აკვირდებიან საქართველოს შორიდან, ვიდრე აქ დარჩენილი ადამიანები. რა სირთულე შეიძლება შეხვდეს სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტობისას, გამომდინარე იქიდან, რომ ის მაინც ევროპულ ლიდერობასაა შეჩვეული?

— საკმაო ხანია, საქართველოშია ქალბატონი სალომე. თანაც, პრეზიდენტის ძირითადი ფუნქცია იქნება სწორედ უცხოელებთან ურთიერთობა და საქართველოში არსებული საკითხების უცხოელებამდე მიტანა. უცხოელებთან ურთიერთობა მას არ შეეშლება. თქვენ წარმოიდგინეთ, გრიგოლ ვაშაძე რომ ყოფილიყო „ქართული ოცნების“ კანდიდატი, ხოლო სალომე ზურაბიშვილი „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი, რა აგიტაციაპროპაგანდა დაიწყებოდა? „ნაციონალები“ მოთხრიდნენ და მიწაში ჩადებდნენ გრიგოლ ვაშაძეს მთელი თავისი წარსულით, ჯიშითა და ჯილაგით მისი პრორუსულობიდან გამომდინარე. როგორ შეიძლება, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს, ათეული წლების განმავლობაში საკმაოდ მაღალ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მყოფ ქალბატონს კრემლის აგენტობა დააბრალო? ხოლო, ის, ვინც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში იყო და ბირთვული შეიარაღების კომისიაში მუშაობდა, ჭეშმარიტ პატრიოტად წარმოსახო, რომელსაც, თურმე, არავითარი შემხებლობა საბჭოთა კავშირის კგბ-სთან არ აქვს.

— რით ახსნით იმას, რომ საქართველოდან ოდესღაც წასულ ემიგრანტების შთამომავალ სალომე ზურაბიშვილს უცხოეთში ახლადჩასულმა თანამედროვე ემიგრანტებმა მხარი ნაკლებად დაუჭირეს? ფიქრობთ, რომ ვიღაც „მუშაობს“ ემიგრანტებზე, რომ მათ საქართველოს რეალობა ცუდად დაინახონ? ემიგრანტების 6135 ხმა ერგო ვაშაძეს, ხოლო 3415 ხმა — ზურაბიშვილს.

— როდესაც საქართველოში არ ხარ და შენს მხრებზე არ გადადის უშუალო პრობლემები, რაც ქვეყანაშია, ცხადია, შენზე მოქმედებს აგიტაცია-პროპაგანდა, რომ თურმე საქართველოში რაღაც აშენდა, გზები დაიგო, იუსტიციის სახლი აშენდა. გადასარევი რამეა იუსტიციის სახლის აშენება, მაგრამ ამისთვის ტენისის კორტები და უზარმაზარი პარკი უნდა გაენადგურებინათ?

— სხვათა შორის, სააკაშვილმა აღიარა, თუკი ზურაბ ადეიშვილი ბიზნესს ავიწროებდა, საკუთარი თავისთვის კი არ სთხოვდა თანხას, არამედ სიღნაღის, ბათუმის ასაშენებლად.

— ახლა სააკაშვილი რატომღაც ადეიშვილს აბრალებს, თითქოს ადეიშვილმა გააკეთა ეს ყველაფერი და თვითონ არ იცოდა. სააკაშვილის გარეშე ვინმე რამეს გაბედავდა? ყველა ნაბიჯი ხომ მასთან იყო შეთანხმებული? თანაც, რა მნიშვნელობა აქვს, რომ თურმე ზურაბ ადეიშვილი ფულს ჯიბეში არ იდებდა? უცხოეთიდან ძალიან რთულად ჩანს, თუ რა პროცესები მიმდინარეობს საქართველოში, მაგრამ უცხოეთშიც ინფორმაციის სწორად გატანა შეიძლება. ასე მგონია, ამას ქალბატონი სალომე მოახერხებს. სამწუხაროდ, პირველ ტურში „ქართული ოცნების“ მხრიდან აგიტაცია ნაკლები იყო და პირველი ტური ისე ჩატარდა, რომ „ქართულ ოცნებას“ პრაქტიკულად მასში მონაწილეობა არ მიუღია, ამიტომაც ვერ გაიმარჯვა სალომე ზურაბიშვილმა პირველ ტურში და საჭირო გახდა მეორე ტური.

სულ რაღაც ორ წელიწადში იქნება საპარლამენტო არჩევნები და იმედი მაქვს, შეიქმნება რეალური მესამე ძალა, საზოგადოებისგანაც წამოვა იმპულსი და პარტიებიდანაც გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც რეალურ ოპონირებას გაუწევენ ხელისუფლებას და არა ეს ნაძირალა „ნაცბანდა“.

— რეალურ ოპონირებაზე როცა საუბრობენ, „პატრიოტთა ალიანსზე“ აკეთებენ აქცენტს. მათი რადიკალური განცხადებები ბევრისთვის მისაღებია. გაართმევს თავს „პატრიოტთა ალიანსი“ ამ ხვედრს?

— აქ მარტო „პატრიოტთა ალიანსი“ არ არის. მართალია, „პატრიოტთა ალიანსის“ ინიცირებით შედგა ასიათასიანი მიტინგი, მაგრამ ეს არ ყოფილა მხოლოდ „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერთა მიტინგი. იქ გამოსული იყო ხალხი, ვისაც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ არ შეიძლებოდა მოძალადე ხელისუფლების დაბრუნება. ჩვენ არ გვაქვს ისეთი სასტარტო მდგომარეობა, რომ ერთ, ორ, ან გინდაც ათ წელიწადში უცბად ისეთი ქვეყანა გახდეს საქართველო, რომ ყველა კმაყოფილი იყოს, მაგრამ, თუკი „ქართული ოცნება“ ამ ორი წლის განმავლობაში სწორად წარმართავს პოლიტიკას და მოსახლეობაც დაინახავს, რომ „ქართული ოცნება“ და ხელისუფლება კანონის უზენაესობას ახორციელებს, სამართლიანობას ამკვიდრებს ამ ქვეყანაში, მაშინ ორი წლის შემდეგ ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებშიც ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ პოზიციას. ხოლო, თუ „ქართული ოცნების“ შევიწროება დაიწყება, ეს მოხდება სწორედ „პატრიოტთა ალიანსის“ და იმ საზოგადოებრივი ძალების მხრიდან, რომელთა კონსოლიდაციაც უკვე მიმდინარეობს.

— სამართლიანობის აღდგენას ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან წარუმატებლად შეუდგა „ქართული ოცნება“. ამ გზაზე მეორედაც ხომ არ დაგვაბრკოლებს დასავლეთი?

— სამწუხაროდ, „ნაცმოძრაობას“ ჰყავს თავისი სატელიტები, ევროპარლამენტშიც ჰყავთ ასეთი ძალები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კოჰაბიტაცია დანაშაული იყო. როდესაც ადამიანს დანაშაული აქვს ჩადენილი და ამ დანაშაულზე პასუხს მოსთხოვ, ეს სულაც არ არის დევნა. სწორედ ეს არ გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ და ხალხმაც დაინახა, რომ დამნაშავეები კიდეც გვმოძღვრავენ. ყველაფერს თავი დავანებოთ, გიგა ბოკერია, რომელსაც მოლაშვილმა ხელი დაადო, რომ მის წამებაში იღებდა მონაწილეობას, რომლის შესახებაც ელენე თევდორაძემ თქვა, რომ ციხის ბუნტისას დახვრეტის ბრძანება ბოკერია-ახალაიამ გასცეს და ისინი ხელმძღვანელობდნენ ხალხის ჩახოცვას, დღეს ზის პარლამენტში და იქიდან ჭკუას გვასწავლის. ის კი არა, ხორავას ქუჩის საქმეზე მოსამართლის როლშიც გამოდის. თავის დროზე უნდა დამდგარიყო ამ ხალხის პასუხისმგებლობის საკითხი, რათა ისინი პოლიტიკაში საერთოდ ვერ მობრუნებულიყვნენ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ეუთოს რეკომენდაციებს აუცილებლად გავითვალისწინებთ!

ირაკლი კობახიძე პირობას დებს, რომ არჩევნებთან დაკავშირებით ეუთოს რეკომენდაციები ზედმიწევნით იქნება შესწავლილი და მხედველობაში მიღებული. განცხადება მან პარლამენტის პლენარული სხდომის გახსნისას გააკეთა.

„მინდა, მათ მადლობა გადავუხადო შეფასებისთვის, წარმოდგენილი რეკომენდაციებისთვის. რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ცვლილებებს, რაც კანონმდებლობაში უნდა განხორციელდეს. ეს პირველ რიგში, არის პარლამენტის პასუხისმგებლობა. პარლამენტმა ეს ფუნქცია ყურადღებით უნდა შეასრულოს. ჩვენ უნდა განვახორციელოთ ცვლილებები, რომელიც განსახორციელებელია ქვეყანაში უკეთესი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

მოსკოვის პოზიცია თბილისთან მიმართებაში არ შეიცვლება!

როგორიც **არ უნდა იყოს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები, მოსკოვის პოზიცია თბილისთან მიმართებაში არ შეიცვლება,** — აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი მარია ზახაროვა.

„ჩვენი პოზიცია საქართველოსთან მიმართებაში კარგად ცნობილია. რუსეთი არ იყო დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის ინიციატორი. ეს საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებული უდიდესი შეცდომა იყო. ამ გადაწყვეტილების გამო ჩვენი ქვეყნების ხალხები იტანჯებიან“, — განაცხადა მარია ზახაროვამ.

გერმანია თვალს ვერ დახუჭავს რუსეთის ქმედებებზე

განცხადება ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ბერლინში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე გააკეთა.

ანგელა მერკელის განცხადებით, არსებობს მთელი რიგი სახელმწიფოები, რომლებსაც არ აქვთ საშუალება, განვითარდნენ ისე, როგორც მათ სურთ, რადგან მათი მეზობელი რუსეთია. მაგალითად კი ანგელა მერკელმა საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიც დაასახელა.

„ჩვენ შემოგვაქვს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ იმისთვის, რომ ცხადად ვანახოთ, რომ ქვეყნებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი რუსეთის საზღვრებთან ახლოს მდებარეობს, აქვთ დამოუკიდებლად განვითარების უფლება. ეს საერთაშორისო სამართლის საფუძველია. ხშირად მეკითხებიან, არის თუ არა რუსეთთან დაახლოების შესაძლებლობა. მეც მინდა, რომ ასე მოხდეს, მაგრამ ჩვენ უნდა ვადევნოთ თვალი იმას, რომ ქერჩის სრუტეში მომხდარი ინციდენტის მსგავსი ქმედებები არ განმეორდეს.

თუ შეხედავთ რუსეთის სამეზობლოს, საქართველოში არის სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, მოლდოვაში — დნესტრისპირეთი, აზერბაიჯანსა და სომხეთში — მთიანი ყარაბაღი, უკრაინაში — აღმოსავლეთ რეგიონები. ანუ არსებობს მთელი რიგი სახელმწიფოები, რომლებსაც არა აქვთ საშუალება, განვითარდნენ ისე, როგორც მათ სურთ და ჩვენ გერმანიაში ამაზე თვალს ვერ დავხუჭავთ, — აცხადებს ანგელა მერკელი.

უდიდესმა ამერიკულმა კომპანიამ ანაკლიაში ინვესტიციის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო

უდიდესი ამერიკული კომპანიის „SSA Marine“-ს დირექტორთა საბჭომ ანაკლიის პორტის პროექტში ინვესტიციის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს ხელისუფლებასა და კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ეს ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლებას ოფიციალურად აცნობა.

„SSA Marine“ ანაკლიის პორტის აქციონერი და ოპერატორია. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმსა“ და „SSA Marine“-ს შორის ორწლიანი წარმატებული თანამშრომლობის შედეგია ამერიკული კომპანიის ეს გადაწყვეტილება და კიდევ ერთხელ ამტკიცებს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის როგორც რეგიონალურ, ასევე გლობალურ მნიშვნელობას.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ ვიცე-პრეზიდენტის თედო ჯაფარიძის განცხადებით, ამერიკელი პარტნიორების გადაწყვეტილება პორტში ინვესტიციის გაზრდის შესახებ ძალიან დიდი, სტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტია, რაც ერთი მხრივ, ხაზს უსვამს შავი ზღვის აკვატორიის და იქ გამავალი სავაჭრო-ეკონომიკური ვექტორებისა და დერეფნების უზარმაზარ პერსპექტივას და მეორე მხრივ, ადასტურებს საქართველოს სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

SSA Marine
A Carrix Enterprise

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №267

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი 200 წლისაა



მონასტრის არქივიდან

მონასტრის იღუმენია – დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას

წმიდა ნინოს სახელობის სამთავროს მონასტრის არქივში დაცული იღუმენია **ნინო ციციშვილის** 1920 წლით დათარიღებული წერილი უნიკალურია იმითაც, რომ წინამძღვარი მიმართავს დამფუძნებელ კრებას, ანუ საქართველოს ახალ, დამოუკიდებელ ხელისუფალთ, იქნებ მათ მაინც მიხედონ სამთავროს მონასტერს, „ქართული კულტურის და ხუროთმოძღვრების“ გამორჩეულ ძეგლს.

საგულისხმოა, რომ ეს წერილი, ერთი კონკრეტული თვალსაზრისით, ძალიან ჰგავს ზოგადად, სასულიერო მოღვაწეთა მიმართვებს მანამდე და შემდგომ არსებული ხელისუფლებისადმი: აქ თითქოს შინაგანი ცენზორი მოქმედებს, როცა მთავრობის ხელმძღვანელებს ეკლესიის მსახურნი სთხოვენ მონასტრების არა როგორც სასულიერო ცენტრების, არამედ როგორც ოდენ ისტორიული და ხელოვნების ძეგლების მოვლა-პატრონობას და დაცვას.

იმ პერიოდში წმიდა ნინოს დედათა მონასტერი საქართველოს კულტურის სამინისტროს ბალანსზე იყო, როგორც მხოლოდ მატერიალური კულტურის ძეგლი.

დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიას

მცხეთის წმიდა ნინოს მონასტრის იღუმენია ნინოს

მოხსენება

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიას დასახული აქვს მიზნად დაიცვას ქართული ხუროთმოძღვრების ძველი ნიმუშები, რომელნიც მოწმობენ ჩვენი ერის კულტურისნობას, შემოქმედებით ნიჭს და ესთეტიურ გემოვნებას.

ერთ-ერთ ასეთ ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო და უძველეს ძეგლად უნდა ჩაითვალოს მცხეთის წმიდა ნინოს მონასტრის ორი ტაძარი – დიდი და პატარა და ძველი სამრეკლო. ამ შენობებს, გარდა თავის არსებით რელიგიური მნიშვნელობისა, უცილობლად აქვს ისტორიულ -არქეოლოგიური და არქიტექტორული ინტერესი. ეს ქრისტიანობის და მისი კულტურის უძველესი აკვანია ჩვენს უძველეს ყოფილ სატახტო ქალაქ მცხეთაში. ეს ჩვენი წარსულის დიდება იპყრობს უცხოელ მეცნიერთა და მკვლევარ-მოგზაურთა ყურადღებას, ამ ჩვენს სიწმინდეს მოიხილვენ ხოლმე ყველანი, შინაურნი თუ გარეშენი დიდის ყურადღებით და განცვიფრებით!

ხუროთმოძღვრების ეს იშვიათი ძეგლები დღეს მეტისმეტად მოუვლელია. მონასტრის ორთავე ტაძრის სახურავი დაზიანებულია, ჩამოდის წვიმა, რომელიც ანესტიანებს და ანგრევს შენობებს. ძველი სამრეკლოს სახურავიც მეტად დაზიანებულია და თუ დროზე არ ეშველა, უსათუოდ ჩამოინგრევა; ეზოს ალაყაფის კარები ძლიერმა ქარმა დალეწა; მონასტრის დედათა საცხოვრებელი დაზიანებულია და აღარ გვეცხოვრება შიგ.

მონასტერს სრულებით არავითარი სახსარი არა აქვს ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაკეთებლად. ყოველდღიური ლუკმა პურიც კი ვერ გვიშოვია! სასულიერო მთავრობაც, უსახსრობისა გამო, ვერასა გვშველის, – მონასტერი კი ასეთ ვითარებაში პარტახდება და ლამის არის ნანგრევებად იქცეს.

ჩემს მოვალეობად დავისახე მოგმართოთ დამფუძნებელი კრების კომისიას და გაცნობოთ ყოველივე ზემოაღნიშნული, რათა დაუყოვნებლივ მიაქციოთ ყურადღება ძვირფას განძს ჩვენი წარსულის დიდებისა, რომ ის არ დაგვეღუპოს, თავზე არ ჩამოგვენგრეს და სასირცხოდ არ გავხდეთ.

გთხოვთ, მოწყალეო ბატონნო, ადგილობრივ შეამოწმოთ და მიიღოთ საჩქარო ზომები ამ სიძველეთა გადასარჩენად და დასაცავად.

მე უღონო ვარ, უშველო რამ ამ გაჭირვებულ ვითარებას. მე პასუხისმგებელი აღარ ვიქნები, არამედ პასუხს აგებენ შთამომავლობის წინაშე ისინი, ვისაც ჩვენი ქვეყნის სვე-ბედი აბარიათ.

იღუმენია ნინო ციციშვილი

1920 წელსა
თებერვლის 19სა

მონაზვნების წერილი იოსებ ბესარიონის ძე სტალინს

სამთავროს მონასტრის არქივში დაცულ ერთ-ერთი საგულისხმო წერილს ხელს აწერენ ღირსი ექვთიმე აღმსარებლის სულიერი შვილები, ზემომოყვანილი ბარათის ადრესატი მონაზვნები: **ანუსია კოჭლამაზიშვილი, სიდონია(მართა) ბაქრაძე** და **ევპრაქსია ჩარკვიანი.** სამთავროს დედები წერილობით მიმართავენ იოსებ ბესარიონის ძე სტალინს. წერილი 1943 წლითაა დათარიღებული, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. რატომ სტალინს ანუ უმაღლეს ხელისუფალს? საგულისხმოა, რომ სამთავროს მონასტერი 1930 წლიდან კულტურის ძეგლად გამოცხადდა. 1938 წლის საგუთებში ანუსია კოჭლამაზიშვილი ძეგლის მცველად არის მოხსენიებული. 1930 წლიდან ტაძარი და მიმდებარე ტერიტორია კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებას გადაეცა, სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. მონასტერი გაუქმებული გახლდათ, მაგრამ მონაზვნები ფარულად მაინც ასრულებდნენ სამონასტრო ტიპიკონს...

1941 წელს გარდაიცვალა იღუმენია ნინო ციციშვილი, რომელიც საქართველოს გასაბჭოებამდე არსებული მოქმედი მონასტრის უკანასკნელი იღუმენია გახლდათ. 1943 წელს ანუსია კოჭლამაზიშვილი ოფიციალურ საგუთებში სიძველეთა დაცვის წარმომადგენლად არის დასახელებული. ერთი წლის მერე, რაც იოსებ ბესარიონის ძეს ამ წერილს გაუგზავნის, უკვე სამთავროს ისტორიული ძეგლის დამლაგებლად აფორმებენ.

მონაზვნები (თვითონ კონსპირაციისთვის წერენ: „ყოფილი მონაზვნები“): ანა კოჭლამაზიშვილი, სიდონია ბაქრაძე და ევპრაქსია ჩარკვიანი, როგორც სახელმწიფოს ძეგლის მცველები, სახელმწიფოს მეთაურს შემწეობას სთხოვენ. აღნიშნავენ, რომ „ყოფილი მონაზვნები ყოფილი მონასტრიდან“, 18 სული, ადრე ცხოვრობდნენ სამთავროს მონასტრის მიერ აშენებულ შენობაში. დიდი სამამულო ომის პერიოდში მცხეთის „რაიისპოლკომმა“ გამოიყვანა იქიდან, რადგან მათი საცხოვრისი წითელი არმიისთვის გადაეცათ. აღნიშნავენ, რომ გაცნობიერებული აქვთ, ყველაფერი გაიღონ ომის საჭიროებისთვის, რათა მომავალ გამარჯვებაში თავიანთი წვლილიც შეიტანონ, მაგრამ ახლა, როცა საბჭოთა ჯარმა წინ წაიწია და მათი საცხოვრებელი უკვე დიდი ხანია ცარიელია, ბინას ადგილობრივი ხელისუფლება მაინც არ უბრუნებს და ორ პატარა ოთახში 18 ადამიანია შეფარებული...

მათ წერილზე გენერალისიმუსის პასუხი არქივებში არ იძებნება.

სამთავროს დედათა მონასტრის არქივის მასალების მიხედვით მოამზადა
მონაზონმა იოანამ (ნიშნიანიძე)

თემა და ვარიაციები

თანამედროვეობის სცენაზე ყველაზე აუიტირებული და ზედაპირზე ამოვარდნილი მოქმედებების პარალელურად, როცა ისტორიისგან განდევნილადაც შეიძლება იგრძნო თავი, ჩვენს გადასარჩენად და სანუგეშოდ იდება წიგნები, რომლებიც მუდმივი საფრთხის მოლოდინიდან განთავისუფლებს და საკუთარი გზის მშვიდად გაგრძელების საშუალებას გაძლევს.

დავით წერედიანის „თემა და ვარიაციები“, როგორც რედაქტორის ბოლოსიტყვაობაშია აღნიშნული, „ერთდროულად დღიურიცაა, პირადი ჩანაწერებიც, უაღრესად საინტერესო შემოქმედებითი ლაბორატორიის გასაჯაროების ცდაც და პროფესიული მასტერკლასიც, რომელიც გამოადგება ყველას, ვისთვისაც ცხოვრება და ლიტერატურა მუდმივი ძიების, აზროვნების, კერპების მსხვრევისა და აღმოჩენების გამოა მიმზიდველი.

ძნელია თქმა, ამ ტიპის „ყველაში“ დღეს, ჩვენს სამშობლოში, რამდენი ადამიანი იგულისხმება, მაგრამ მკითხველთა გამოხმაურებების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ისინი ცოტანი არ არიან და ამგვარი შინაარსისა და დონის ლიტერატურას უდიდესი სიამოვნებით ეცნობიან.

ქვემოთ გთავაზობთ ფრაგმენტებს დავით წერედიანის ჩანაწერებიდან:

* * *

ყველა თავისი გამოცდილებით ზომავს, სხვათა გამოცდილებას ნაკლებად ენდობა.

ტექსტოლოგები გვარწმუნებენ, რომ ხელნაწერების მიხედვით ძალიან ხშირად დიდი ალბათობით შეიძლება აღდგენა, თუ როგორ მიმდინარეობდა შემოქმედებითი პროცესი.

ათასგვარად. ათასფერად.

იგი უფრო ხშირად წინ უსწრებს წერის პროცესს, უფრო იშვიათად ხდება მათი თანადამთხვევა, ხან სრულად, ხანაც ნაწილობრივ.

ის კი არა, ზოგჯერ შემოქმედებითი პროცესი უკანაც კი მიჰყვება წერის პროცესს. არაერთ შემთხვევას ასახელებენ, როცა მკვდარი ტექსტი დიდი ხნის მერე ხელახალ მიბრუნებას გაუცოცხლებია, გამორჩეულ ნაწარმოებად უქცევია.

* * *

მე რომ მკითხონ, პოეზია არც უანრებად, არც ფორმებად თუ მიმდინარეობებად არ იყოფა.

იყოფა ერთადერთი პრინციპით: შემოქმედებითი პროცესი ჩატარებულა – შემოქმედებითი პროცესი არ ჩატარებულა.

სიყმაწვილეში მახსოვს, რა გაოცებული დავცქეროდი გრიგოლ რობაქიძის ერთ ლექსს. თითქოს არაფერი არ აკლდა, არც ერთი კომპონენტი, რაც დიდ პოეზიას სჭირდება. ოღონდ „არ მუშაობდა“, სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა.

არადა, ძალიან მიმსგავსებული იყო, შესანიშნავად გათამაშებული.

გალაკტიონ ტაბიძე თავის თავსა და სწორედ გრიგოლ რობაქიძეს გულისხმობდა, როცა წერდა:

პირველში ფანტასტი მეტია,
მეორეში – ნაკლები.
პირველი პოეტია,
მეორე – სპექტაკლები.

* * *

ლექსი კი არა, ლექსის თარგმანი არ გამოდის, ზოგიერთი სტრიქონი შენგან უნებლიეთ თუ არ გაჩნდა, ასე ვთქვათ, „თავისით“ თუ არ მოგეცა.



თარგმანის თეორიაში დღეს უკვე მიღებული აზრი ყოფილა, ახლახან წავიკითხე, რომ უზუსტესად, მთარგმნელისეული გადახვევებისა და ინტერპრეტაციის გარეშე თარგმნილი ლირიკული ლექსი მკვდარი ტექსტია. მრავალი და მრავალი შეჯერების შემდეგ ბოლოს და ბოლოს მისულან ამ დასკვნამდე.

პოეტებისაგან არ გამიკვირდებოდა, თეორეტიკოსებისაგან გამიკვირდა.

აქაც, ფაქტობრივად, იმაზეა ლაპარაკი, მოცემულ ტექსტს შემოქმედებითი პროცესი ახლდა თუ არა.

* * *

ყველა ქვეყნის პოეტები ხმაშეწყობით მოთქვამენ: საწუთრო ცრუა და ორპირი, მუხთალი და გაუტანელი.

სიყმაწვილეში ალალად მეღიმებოდა ძველი მოტივის მიამიტურობაზე: რაო, არ იცოდნენ, რომ ადამიანი მოკვდავია, რომ დრო განუხრელად მიედინება?

რა თქმა უნდა, იცოდნენ, როგორ არ იცოდნენ, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ აქ არც სიკვდილზე და არც ჟამთასვლაზე არ არის ლაპარაკი.

ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანს, განსაკუთრებით სიცოცხლის მეორე ნახევარში აქვს მოტყუებულობის, აბუჩად აგდებულობის სინდრომი, თუ შეიძლება ასე ითქვას.

დროდადრო მკვეთრი შეგრძნება უჩნდება, რომ იქ, მაღლა, სადღაც შორს, სათავეში, „გვიმუხანათეს“, ვინ, არ ვიცით, „გვეცრუვნენ“, „მოგვაღორეს“, განზრახ და დაუნდობლად. თვალებთან ჭრელ-ჭრელი რიდე-მერდინი აგვიფრიალეს. რაღაც დიდსა და მაღალს შეგვპირდნენ, იმედებით აგვავსეს და არავის, არც ერთ ჩვენგანს, აღარ შეგვისრულეს დანაპირები.

თქვენ ჯერ არ გწვევიათ მსგავსი შეგრძნება?

ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ...

* * *

როცა პოეტი სიზერეზე მოთქვამს, დიდი გამოცნობა არ სჭირდება, ან ოცდაათისა ხდება, ან სულ ახლახან გადაშორდა.

სიზერის მოახლოება, როგორ არა, უკვე აწუხებს კიდეც. მაგრამ, ხომ წარმოგიდგენიათ, მართლა აწუხებდეს!

ვისაც ნამდვილად აწუხებს, ისინი დაახლოებით ასე წერენ: არა, გული არ დაბერებულა, შიგ ისევ ძველებური ცეცხლი ანთია!

* * *

გაგმიო მოსაუბრე გალაკტიონი მხოლოდ ერთხელ მინახავს – მირზა გელოვანის მოსაგონარ საღამოზე მწერალთა კავშირში. დაგვიანებით მოვიდა და მაშინვე სიტყვა მოითხოვა. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, შეიძლება, ოდნავ ნასვამიც იყო. ძალიან თბილად ილაპარაკა, იმ ნათქვამის აღდგენა დღეს უკვე აღარ შემიძლია. გულწრფელი სიმპათია გამოხატა ომში დაღუპული ახალგაზრდა პოეტის მიმართ.

დასასრული კი ზუსტად მახსოვს, ახლაც თვალნათლივ ვხედავ.

ვერ ვუპატრონეო, კინაღამ ატირდა. თავი მიაბრუნა, სიტყვა ვეღარ გააგრძელა. მერე კათედრიდან სწრაფად ჩამოვადა და სწრაფადვე გაუჩინარდა.

* * *

პოეზია – მართლა ასეა თუ მეჩვენება? – ყველგან და ყოველთვის ერთსა და იმავეს ამბობს, სხვადასხვა ხერხებით, სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით... აზრებით... უაზრობებით... განსხვავებული ფორმებით, განსხვავებული რეალიებით...

ზოგჯერ ისეთს იტყვის, სული შეგიგუბდება. გადაჩხრეკ და წვეთი არ არის წაჭარბებული, ზუსტად იმავეს ამბობს, რასაც უხსოვარი დროიდან ამბობდა.

ანტიკური ხანა, მოგეხსენებათ, რითმას არ იცნობდა, სამაგიეროდ, უძნელესი სალექსო საზომები ჰქონდათ, ძალიან რთულად დასაძლევი.

ლექსისთვის წინაღობა იყო საჭირო, ეფექტი რომ გამოეწვია. ეფექტი კი იმაში მდგომარეობდა, დისტანციას დაუძაბავად, სიტყვის გაუმრუდებლად, თითქოს თამამ-თამაშით რომ გაივლიდი.

თან ალიტერაციები, ყოვლად აუცილებელი ალიტერაციები....

„ილიადა“ ასე იწყება:

მენინ აეიდე, თეა, პელეიადო ახილეოს,
ულომენენ, ჰე მერი ახაიოის ალგე ეთეკე...

რიტმის დაჭერას ტყუილად შევეცდებით, საზომს გრძელი და მოკლე ხმოვნები განაგებენ, მინდა ალტერაციას დავაკვირდეთ. ისინი აშკარად გამოხატულ წყვილებს ქმნიან: „მენინ“ და „ულომენენ“, „აიედე“ და „პელეიადო“, „ახილეოს“ და „ახაიოის“. და მთელი ამ სიძნელის მიუხედავად აზრის მდინარება წამით არ ირღვევა.

შუა საუკუნეებიდან ამ სიძნელეთა დიდი ნაწილი რითმამ გადაიბარა და საზომები საგრძნობლად გამარტივდა, უფრო ადვილი დასამორჩილებელი გახდა...

მაგრამ, ასეც და ისეც, აუცილებელად მიაჩნდათ, რომ ლექსს გაძნელებული სამეტყველო ბარიერები ჰქონოდა.

დღესდღეობით ყველა ეს წინაღობა ფაქტობრივად მოხსნილია.

დასასრულია? თუ რაღაც სრულიად ახლის დასაწყისი?

* * *

ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ იმგვარად არის აგებული, რომ სამართლიანი გამოჩნდეს ურჩხულებრივი თეზისი: თუ მდიდარ ადამიანს შვილს წაართმევ, ეს ძალიან კარგია.

ნუ გვეგონება, რომ მსგავსი მორალით მხოლოდ კომუნისტური იდეოლოგია აზროვნებს. მეტ-ნაკლებად ასე აზროვნებს ყოველი იდეოლოგია.

პიესა ამაზრზენად ყალბია.

ქართულ დადგმაში ეს ნაკლებად იგრძნობოდა, ხალისიანი თეატრალური პირობითობებით იყო გადაფარული.

* * *

„გულაგის არქიპელაგი“ უმძაფრესი შოკივით იყო, შთაბეჭდილებიდან ვეღარ გამოვდიოდით. საბჭოთა იმპერია, შეიძლება ითქვას, კიდევაც შეაჯანჯღარა.

დიდი ხნის შემდეგ შემთხვევით მომხვდა ხელში, გადავხედე და გაოცებული დავრჩი. საბჭოთა კავშირის სიძულვილი ასე როგორ გვაბრმავებდა, აშკარად დასანახავს ბუნდოვნადაც ვერ ვხედავდით.

ცუდად რომ ყოფილა დაწერილი, ეს კიდევ არაფერი – ყურმოკრული ჭორები, ყალბი და გაბუქული სტატისტიკები და ფაქტები, არაკეთილსინდისიერი ინსინუაციები. მოკლედ, სანდოობის ხარისხი საშუალოზე დაბალია.

არადა, როგორ გვჯეროდა!

ისიც კი გადავყლაპეთ – ქართველ რეპრესირებულებზე ზიზღითა და ბოღმით დაწერილი პასაჟები!

* * *

ძველისძველი ამბავია, როცა თეატრალური ანტრაქტები ბევრად ხანგრძლივი იყო.

– წერ ახლა რამეს? – მეკითხება ძველი ნაცნობი.

ალბათ მისახვედრია, თეატრის ფოიეში ვდგავართ.

– პიესას ვწერ, – ვეუბნები პასუხად, – გიორგი ერისთავის „გაყრას“ ვწერ თავიდან. ვტოვებ, რისი დატოვებაც შეიძლება. დანარჩენს ჩემით ვამატებ. გაყრა ჩვენი ისტორიის განუწყვეტელი ნაწილი იყო, – მინდა შეფარულად ეს აზრი გავათამაშო.

ნეტავი მართლა დამეწერა, რა ვიცოდი, პოსტმოდერნიზმის სათავეებთან თუ ვიდექი!

* * *

როცა საბჭოთა სინამდვილეში ვცხოვრობდი, ანუ ეგრეთ წოდებული თავისუფალი რესპუბლიკის (იხ. საბჭოთა ჰიმნის ტექსტი) მოქალაქე გახლდით, ჩემი უპირველესი მოვალეობა იყო, არ დამენახა ის, რაც თვალნათლივია.

ახლა, როცა პოსტსაბჭოთა სინამდვილეში ვცხოვრობ ანუ ეგრეთ წოდებული თავისუფალი რესპუბლიკის მოქალაქე გახლავართ, ჩემი ძირითადი მოვალეობა უცვლელი დარჩა, – არ დავინახო ის, რაც თვალნათლივია.

* * *

ნაწილობრივ, მაგრამ გაცილებით დიდი წარმატებით, მაგასვე მავალებს ცივილიზაცია, რომელსაც ავად თუ კარგად მივეკუთვნები.

ასევე ნაწილობრივ და ასევე წარმატებულად მავალებს ეროვნული მრწამსი, რომელსაც დიდწილად ვაღიარებ.

და კიდევ იმდენი რამე, ჩამოთვლაც გამიჭირდება.

საოცარია, მაგ ლაბირინთებსა და მირაჟებში რაღაც ორიენტაციას მაინც რომ ვინარჩუნებ: ჯერ არსად გადავჩეხილვარ, მწყინს, მიხარია, ვტირი, ვიცინი, ცოცხალი დავიარები.

* * *

– ხალხი ბრძენია, მისი მოტყუება შეუძლებელია, – ამბობენ დემაგოგები, როცა არჩევანი მათ სასარგებლოდ კეთდება.

– ხალხი მოატყუეს, – ამბობენ იგივე დემაგოგები, როცა არჩევანი მათ სასარგებლოდ არ კეთდება.

ხოლო თუ დამარცხება საბოლოოა და მეტისმეტად გაცხარებულნიც არიან, – ხალხი ნახირია, – ესეც მომისმენია.

ჩემთვის პირადად, პირველი განმარტება ბევრად უფრო გულისამრევია, ვიდრე ეს ბოლო. არ გეთითლიბაზებიან მაინც, არ გაცუცურაკებენ, იმას გეუბნებიან, რასაც ფიქრობენ.

* * *

სამშობლო თუ ჭეშმარიტება. გეგონება, ერთ მხარეს თავისუფალი სამშობლო გვედო, მეორე მხარეს ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტება და რატომღაც ერთ-ერთი მათგანი უნდა ამოგვერჩია. და იყო საშიშროება, რომ დაუფიქრებლად სამშობლოს ამოვირჩევდით.

დაპირისპირება არაკორექტულია. „ჭეშმარიტება“ ამ შემთხვევაში მხოლოდ, მითოლოგემაა, რომლის ცნებად ქცევა და ერთმნიშვნელოვანი ფილოსოფიური განმარტება შეუძლებელია.

მაგრამ ეს ამბავი აქ ახლა ნაკლებად მაინტერესებს, სულ სხვა რამისთვის გავიხსენე. ამ ხელოვნურმა შეპირისპირებამ და არაადეკვატურმა ვნებათაღელვამ, მახსოვს, ჩემი ფიქრი ჩემთვისვე მოულოდნელი მიმართულებით გაიტყუა: კეთილი და პატიოსანი, ჭეშმარიტება მითოლოგემაა და არ იმარტება, მაგრამ სამშობლოც მითოლოგემა ხომ არ არის – ცნებად ქცევას ისიც არანაკლებ რომ უძალიანდება...

გაგრძელება „კვირაძალს საკითხავის“ შემდეგ ნომერში.

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

მსოფლიო ერთსულოვნად აღიარებს!

საქართველოში გამართული საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო მედიაში

სალომე ზურაბიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გაიმარჯვა – ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი ქალმა დაიკავა. ასეთია იმ ახალი ამბების მთავარი თემა, რომელიც საერთაშორისო მასმედიამ საქართველოს შესახებ 29 ნოემბრის დილით გაავრცელა. არჩევნების პროცესს ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ამერიკული და ბრიტანული საინფორმაციო სააგენტოები ASSOCIATED PRESS, REUTERS, ბრიტანული სამაუწყებლო კომპანია BBC, გერმანული DEUTSCHE WELLE, გაზეთი FINANCIAL TIMES და სხვა გამოცემები. ბუნებრივია, გასაგები მიზეზების გამო გულგრილი არ დარჩენილა რუსული მასმედიაც.

* * *

„საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში საფრანგეთში დაბადებულმა ქართველმა დიპლომატმა გაიმარჯვა“, – იუწყება ამერიკული საინფორმაციო სააგენტო „Associated Press“-ის მიერ გავრცელებული მასალა, რომელიც გაზეთ „The Washington Post“-ის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული. მასში ვრცლადაა გადმოცემული II ტურის წინ მიმდინარე საარჩევნო კამპანიის მთავარი მომენტები, ხმის მიცემის პროცესი, ეგზიტპოლების შედეგები და ცესკოს წინასწარი ოფიციალური მონაცემები. „დამკვირვებლების აზრით, საპრეზიდენტო არჩევნები ერთგვარი ტესტია საპარლამენტო არჩევნებისთვის, რომელიც საქართველოში 2020 წელს უნდა გაიმართოს.

* * *

„საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგები, შეიძლება ითქვას, ლაკმუსის ქაღალდია პარტია „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის საკითხში, რომელიც ქვეყანას 2012 წლიდან მართავს და განზრახული აქვს წარმატებას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც მიაღწიოს. მართალია, საქართველოს გადასვლამ საპარლამენტო დემოკრატიაზე პრეზიდენტს უფლებები შეუმცირა, მაგრამ საარჩევნო რბოლა დიდი სიმწვავით გამოირჩეოდა“, – ნათქვამია ბრიტანული „Financial Times“-ის ჟურნალისტის ჰენრი ფოუს მიერ გამოქვეყნებულ მასალაში.

* * *

ბრიტანული BBC-ის რუსული სამსახურის მიერ გავრცელებულ ვრცელ ანგარიშში სათაურით „არჩევნები საქართველოში: გაიმარჯვა სალომე ზურაბიშვილმა“ ხაზგასმულია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მოპოვებული გამარჯვება მმართველი პარტიისათვის ერთგვარ „გენერალურ რეპეტიციას“ წარმოადგენს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის. მასალაში ასევე აღნიშნულია, რომ ხელისუფლება ოპოზიციაზე და, საერთოდ, საზოგადოებაზე „უპრეცედენტო ზეწოლას“ ახდენდა.

* * *

რუსულ გაზეთ „Коммерсантъ“-ში გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „საქართველო ორ ნაწილად არ გაყოფილა: მმართველი პარტია საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ზეიმობს“ (ავტორები – ვლადიმერ სოლოვიოვი და გიორგი დვალი). პუბლიკაციაში ვრცლადაა მიმოხილული საარჩევნო კამპანიის მთავარი მომენტები, ხმის მიცემის მიმდინარეობა და მოცემულია ექსპერტთა კომენტარებიც მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის გამარჯვების თაობაზე: „როგორც ექს-სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ვარაუდობს, სალომე ზურაბიშვილი, თავისი დასავლური ბექგრაუნდის მიუხედავად, მოსკოვს პრობლემებს არ გაუჩენს. იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ახალი ქალი-პრეზიდენტი რუსეთის მიმართ შედარებით უფრო რბილ პოლიტიკას გაატარებს. გრიგოლ ვაშაძეს რომ გაემარჯვა, ის ანტირუსულ რიტორიკას გაამწვავებდა“.

* * *

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე წერს კიდევ ერთი რუსული პოპულარული გაზეთი „Известия“ სტატიაში სათაურით „ოცნება“ ახდა – საქართველოში მმართველი პარტიის კანდიდატმა გაიმარჯვა: ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა შეიძლება ნაბიჯი რუსეთთან დაახლოებისაკენ გადადგას“ (ავტორები – კირილე გულოვი და დიმიტრი ლარუ). მასში, არჩევნების შედეგების მიმოხილვასთან ერთად, მოცემულია კომენტარებიც: „მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებით საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსი რადიკალურად არ შეიცვლება, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წევრის, დეპუტატ გიორგი ლომიას თქმით, სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება მაინც იძლევა შანსს მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობების **გასაუმჯობესებლად.** „მისი გამარჯვებით უფრო მეტი შანსია იმისა, რომ იგი რუსეთის პრეზიდენტს შეხვდეს. გრიგოლ ვაშაძე კი ამას არ იზამდა“, – ამბობს დეპუტატი და ხაზს უსვამს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ნორმალიზება თბილისისთვის ძალიან მნიშვნელოვანია: „არ შეიძლება რუსეთი გყავდეს მეზობლად და მასთან ურთიერთობა არ გქონდეს. ბევრი დასავლეთზეა ორიენტირებული, მაგრამ დასავლეთს ჩვენთვის არაფერი არ გაუკეთებია“.

პუბლიკაციაში მოცემულია რუსი პოლიტოლოგის, დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის **ვლადიმერ ევსეევის** თვალსაზრისიც: „მართალია, საქართველო და მისი ლიდერები პროდასავლურები არიან, მაგრამ ამას მშვიდად უნდა შევხედოთ. სხვა საქმეა, რომ ზოგი მზად არ არის მოსკოვთან დიალოგისთვის, ზოგს ნაბიჯის გადმოდგმა შეუძლია. ამ შემთხვევაში რუსეთისათვის „ქართული ოცნების“ კანდიდატის გამარჯვება უფრო მიზანშეწონილია“.

* * *

უცხოურმა მასმედიამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე ნიდერლანდებში მყოფ საქართველოს ექს-პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის** აგრესიულ განცხადებებს, რომელსაც გრიგოლ ვაშაძის გამარჯვების იმედი ჰქონდა და რომელმაც ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა, არ აღიარონ არჩევნების შედეგები.

როგორც რუსული „იზვესტიის“ ზემოხსენებულ სტატიაშია აღნიშნული, მიხეილ სააკაშვილი სულ ტყუილად ბაქიბუქობს: „ექსპერტების აზრით, დასავლეთი არჩევნების შედეგებს ყველა შემთხვევაში აღიარებს იმდენად, რამდენადაც ორივე კანდიდატი აწყობდა ევროკავშირსაც და აშშ-საც“.

* * *

როგორც აშშ-ის „რადიო თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ პროექტის – ტელეკომპანია „Настоящее время“-ს ანალიტიკურ პროგრამა „ირინა რომალიისკაიასთან ერთად“ პოლიტიკურმა მიმომხილველმა იგორ კუპტევმა აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილის მოწოდებები საქართველოს მოსახლეობაზე გავლენას ვერ მოახდენს, არანაირი ანტისამთავრობო მასობრივი გამოსვლები არ იქნება.

„შესაძლოა მცირე მიტინგები, მაგრამ არავითარი რევოლუციები და მღელვარებები. ჯერ ერთი, რომ დღეს საქართველოში აბსოლუტურად არაა რევოლუციური სიტუაცია, მეორე – საქართველოში გადაწყვეტილებებს უკვე ხალხი ღებულობს, ხალხს კი ეს სიტუაცია, ანუ არჩევნების შედეგები აკმაყოფილებს“.

კითხვაზე, შეძლებს თუ არა სალომე ზურაბიშვილი თავისი დაპირების შესრულებას – საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანას, იგორ კუპტევი პასუხობს: „ვერ შეძლებს, ეს მხოლოდ დაპირებად დარჩება. ჯარების გაყვანა შეუძლებელია. საქართველო თავის პროდასავლურ კურსს გააგრძელებს. განსხვავება ზურაბიშვილსა და ვაშაძეში ისაა, რომ ვაშაძე პროამერიკელია, ზურაბიშვილი კი – პროფრანგი პოლიტიკოსი. მისი ვექტორი პროდასავლური დარჩება, ბაზები კი, სამწუხაროდ, იქვე დარჩებიან და არსადაც არ გავლენ“.

ევროკავშირი თბილისური ასამბლეის ირგვლივ აზერბაიჯანულ მედიაში აგორებულ სკანდალს გამოეხმაურა

ბაქოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ ოფიციალური კომენტარი გაავრცელა აზერბაიჯანულ მედიაში აგორებულ სკანდალთან დაკავშირებით, რომელიც 11-12 დეკემბერს თბილისში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში დაგეგმილ მე-10 ასამბლეაზე „აზერბაიჯანის სამთავრობო დელეგაციის არმიწვევასა და ღონისძიების რეზოლუციაში აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი პუნქტის არშეტანას“ უკავშირდებოდა.

„თბილისურ შეხვედრაზე თავს მოიყრიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი 6-ვე ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები; მსგავსი შეხვედრები ყოველწლიურად 2009 წლიდან იმართება. თბილისში დაგეგმილ შეხვედრაზე მიწვეულები არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლები აზერბაიჯანის ჩათვლით. ამასთან, არავითარი რეზოლუცია ჯერჯერობით არა თუ მიღებული, შეთანხმებულიც არ არის. ორგანიზატორები ამ საკითხზე მუშაობენ. ევროკავშირის სტრუქტურები დოკუმენტის მომზადების პროცესში არანაირად არ არიან ჩართულები და ჩვენთვის რეზოლუციის ტექსტზე თანხმობის მისაცემად არავის მოუმართავს“, – განაცხადეს ევროკავშირის ბაქოს მისიაში.

მისივე განცხადებით, ევროკავშირის პოზიცია არაერთგზის გამოიხატა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტების დეკლარაციებში, რომელთაგან უკანასკნელი 2017 წლის 24 ნოემბერს ბრიუსელში იქნა მიღებული.

თავის მხრივ, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ყოველწლიური ასამბლეის

მზადება და სტუმრების სიის შედგენა ამ დრომდე გრძელდება.

ცნობისთვის: დღემდე ბაქო მსგავს შეხვედრებში მონაწილეობას თავს არიდებდა და არ მიესალმებოდა ევროპელი დონორების საქმიანობას აზერბაიჯანში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მხარდაჭერის მიმართულებით, ასევე იგნორირებას უწევდა ფორუმის მოწოდებებს, ხელი არ შეეშალა ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის მუშაობისთვის,– აღნიშნავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების მმართველ კომიტეტში.

შეგახსენებთ, რომ თბილისური ასამბლეის ირგვლივ სკანდალი აზერბაიჯანულ მედიაში გუშინწინ აგორდა. როგორც ბაქოში გამომავალი გამოცემები აღნიშნავდნენ, თბილისურ შეხვედრაზე აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლები არ მიიწვიეს და აზერბაიჯანი ასამბლეაზე მხოლოდ საქართველოში მისი ელჩით იქნებოდა წარმოდგენილი. ამასთან, აზერბაიჯანული მედიის მტკიცებით, ასამბლეის რეზოლუციაში შეტანილი იყო პუნქტები საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ, აზერბაიჯანთან მიმართებაში კი მსგავსი პუნქტი არ ფიგურირებდა.

◎ XX საუკუნის ერთ-ერთი ნიშანსვეტი

თეირანი-43: დიდი სამეული

ლეგენდარული კონფერენციის 75 წლისთავი

1943 წელი დგას. გახურებული მეორე მსოფლიო ომია, სსრ კავშირმა სტრატეგიული თაოსნობა უკვე ჩაიგდო ხელთ. „დიდმა სამეულმა“ (სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი) უნდა განსაზღვროს ბრძოლის ფინალური ნაწილი და ომის შემდგომი მსოფლიოს კონტურები.

სტალინი და რუზველტი ჩერჩილის წინააღმდეგ გამოვიდნენ როგორც იმ საკითხში, სად უნდა გახსნილიყო მეორე ფრონტი (ევროპაში, საფრანგეთის ჩრდილოეთში თუ ბალკანეთში), ისე სსრ კავშირის დასავლეთ საზღვრების საკითხში!

პრეზიდენტსა და ბელადს მიაჩნდათ, რომ დესანტის გადასხმას ლა-მანშის საშუალებით (ოპერაცია „ოვერლორდი“) ალტერნატივა არ ჰქონდა ხმელთაშუაზღვის თეატრში. როგორც აშშ-ის წარმომადგენელი მოსკოვში დ. დენი ადასტურებდა, რუზველტი სტალინის მიმართ უაღრესად მეგობრულად განეწყო და გრანიტისგან გამოკვეთილ ადამიანს ეძახდა... ერთი სიტყვით, ჩერჩილი მარტო დარჩა.

თეირანის კონფერენცია უჩვეულო ფორმატით მიმდინარეობდა. დღის წესრიგი არ ყოფილა. შეხვედრის მონაწილენი თავისუფლად გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს, არავინ მკაცრ რეგლამენტს არ ემორჩილებოდა. კონფერენციამ მუშაობა დაიწყო 1948 წლის 29 ნოემბერს და დაიხურა 1 დეკემბერს.

თეირანის კონფერენცია ნაციზმზე გამარჯვების ქრონოლოგიურად უბრალოდ უმნიშვნელოვანესი მოვლენა კი არ არის, არამედ პოლონეთის და გერმანიის სახელმწიფოებრიობის ისტორიის საკვანძო ფურცელია, რომლის უპირველესი ავტორი, ყველა თანამედროვე ისტორიკოსის აზრით, იოსებ სტალინია.

დღეს ბერლინსა და ვარშავაში, სამწუხაროდ, ვითომ აღარ ახსოვთ, ვის უნდა უმადლოდნენ თავიანთი სახელმწიფოების არსებობას, არადა, გერმანელები და პოლონელები არა მარტო პატივს უნდა მიაგებდნენ სსრ კავშირის ხელმძღვანელს, არამედ ძეგლებს უნდა უდგამდნენ და ქუჩებსა და ქალაქებს უნდა არქმევდნენ იმის სახელს... თუმცა, ამჟამინდელ ევროპაში ჩვეულებრივ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები ლიბერალ-გლობალისტები და წამოყელყელავებული ნეონაცისტები ერთმანეთის მოკავშირენი გახდნენ სტალინის მიმართ საერთო სიძულვილში.

როგორც ჩანს, ისტორიას პირუთვნელი დასკვნები ჯერ კიდევ არ გამოუტანია...

სტანისლავ რიბასისა და ევგენი სპიცინის მასალების მიხედვით.

„ლიტერატურნაია გაზეტა“ №48

◎ ქართულ მიწაზე დამეგობრებულნი

ადგილი საქართველოში, რომელსაც მტრობა არ შეხებია

***საქართველოში** სასწავლებლად ჩამოსულმა სომეხმა სტუდენტებმა ქართველ თანატოლებთან ერთობლივი ვიდეორეპორტაჟი მოამზადეს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წოპიდან („ადგილობრივები მას „ძობს“ უწოდებენ), რომელშიც სომხები და აზერბაიჯანელები, ასევე სხვა ეროვნებების წარმომადგენლები მრავალი ათწლეულია, მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. რეპორტაჟი GIPA-ს ჟურნალისტური სასწავლო პროგრამის ფარგლებში მომზადდა.*

„ჩვენი ჯგუფის აზერბაიჯანელი ხელმძღვანელი ადგილობრივ აზერბაიჯანელებს ესაუბრება და ცდილობს, გაარკვიოს, სად შეგვიძლია, მივაკვლიოთ აზერბაიჯანელებსა და სომხებს ერთად, რათა მათ ერთობლივად გავესაუბროთ. ერთ-ერთი, ვისთანაც ჯგუფის ხელმძღვანელს აზერბაიჯანულად მოუწია საუბარი, სომეხი აღმოჩნდა, მე კი სომხურად ერთ-ერთ მოხუც აზერბაიჯანელს ვესაუბრე. ისინი აქ გვერდიგვერდ ცხოვრობენ და დროის ძირითად ნაწილს ერთად ატარებენ: ერთად ჭამენ, სვამენ ყავას, თამაშობენ ნარდს და ა.შ.

„აქ ყველა ერთი ვართ, ასე იყო და ასე იქნება“

„მე აზერბაიჯანელი ვარ, ეს კი — სომეხი. ორივემ ვიცით სომხურიც და აზერბაიჯანულიც. ჩვენს შორის არანაირი სხვაობა არ არსებობს. ერთად გავიზარდეთ, ერთ სკოლაში დავდიოდით, ჩვენი ცოლებიც ასე არიან, შვილებიც“, — სომხურად გვიყვება ადგილობრივი აზერბაიჯანელი, რომელსაც სომეხი მეზობლისთვის ხელი აქვს გადახვეული. — ეს უნიკალური ადგილია, არავის დაუჯეროთ, თუ გეტყვით, რომ მსგავსი სადმე სხვაგანაც არსებობს. აქ ასეთი ადგილია ნამდვილად და მადლობა ღმერთს, რომ ასეა“.

ამასობაში მათი ახალგაზრდა თანასოფლელი მოგვიახლოვდა.

— თქვენ რა ეროვნების ბრძანდებით?

— აზერბაიჯანელი.

მოხუცი აზერბაიჯანელი მიხსნის, რომ ეს ახალგაზრდა სოფელში შედარებით „ახალია“, აქ არ დაბადებულა, მეზობელი სოფლიდანაა, „ამიტომაც სომხური ჯერჯერობით არ იცისო“.

— არაუშავს, მალე ისწავლის. ვინც ამ სოფელშია დაბადებული, რა ეროვნებებიც კი არიან აქ წარმოდგენილები, ყველას ენაზე საუბრობენ“.

საუბარში ადგილობრივი ქალიც ერთვება და გვიყვება, რომ მის მეზობლად ერთ მხარეს აზერბაიჯანული ოჯახი სახლობს, მეორე მხარეს — სომხური: „ერთმანეთში ძალიან კარგად ვართ. არასოდეს გვქონია კონფლიქტი ეროვნულ ნიადაგზე. აქ ყველა ეროვნების წარმომადგენლები თანაცხოვრობენ, ერთად მუშაობენ, კარგი ურთიერთობა აქვთ ბავშვებსაც“.

აზერბაიჯანელი მოხუცი კი, რომელიც სომხურად გვესაუბრება, ამბობს: „ერთი რამ უნდა გითხრათ: ახალგაზრდა ბრძანდებით და შეიძლება, არ იცოდეთ, რომ აზერბაიჯანშიც ცხოვრობენ სომხები, სომხეთში კი — აზერბაიჯანელები. იცით, როგორ ახერხებენ, იცხოვრონ, როგორც ძმებმა? უბრალოდ გარკვეულმა ადამიანებმა წამოიწყეს ეს კონფლიქტი. ვერ იპოვიდით სხვა ორ ერს, იმდენად მეგობრულს ერთმანეთისადმი, როგორებიც სომხები და აზერბაიჯანელები იყვნენ. შეგიძლიათ, ჩაბრძანდეთ სომხეთში და ჰკითხოთ ადამიანებს, რომლებსაც აზერბაიჯანელი მეზობლები ჰყავთ, როგორია მათ მიმართ მეზობლების დამოკიდებულება. ისინი გაგიზიარებენ ბედნიერებას და სიკეთეს. ისინი მეგობრები იყვნენ, ჯარშიც კი ერთად დადიოდნენ, მაგრამ გარკვეულმა ადამიანებმა ყველაფერი დაამსხვრიეს და შექმნეს სიტუაცია, რომელსაც დღეს ვხედავთ. აზერბაიჯანელებმა სომხეთში დატოვეს თავისი სახლები, იგივე ეხებათ სომხებსაც. მათაც დატოვეს საკუთარი სახლები, რომლებსაც წლების განმავლობაში აშენებდნენ. ვის სჭირდება ეს ყველაფერი? — არავის! ჩადით და ჰკითხეთ ხალხს გინდ აზერბაიჯანში, გინდ სომხეთში: ორივეგან ხალხი იმაზე ოცნებობს, ოდესმე შინ დაბრუნდეს და კვლავ მშვიდად იცხოვროს ერთად“.

საუბარში კიდევ ერთი მოხუცი ერთვება — ეროვნებით აზერბაიჯანელი: „ძალიან კარგი სოფელი გვაქვს, ძალიან მეგობრულად ვცხოვრობთ. ვინც ჩვენს მიმართ კეთილად არის განწყობილი, ყველას იმავეთი ვპასუხობთ. აქ ბერძნებიც გვყავს. ერთად ვიზიარებთ ჭირსაც და ლხინსაც. ჩვენ მათ ვეხმარებით, ისინი — ჩვენ. აქ ხალხს ეროვნების მიხედვით არავინ გამოარჩევსო“.

დასტურად ადგილობრივები ძველ სასაფლაოსაც გვიჩვენებენ, სადაც ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ეროვნების ადამიანები არიან დაკრძალულები.

მიგვითითებენ შორიახლოს მდებარე სომხურ სოფელ გიულბაკსა და მის გვერდით მდებარე კიდევ ერთ შერეულ — სომხურ-აზერბაიჯანულ სოფელ ხოჯორნზეც.

აქ ქართულად არავინ საუბრობს!

თავად წოპში, როგორც უკვე ვთქვი, ყველა საუბრობს სომხურად და აზერბაიჯანულად, მაგრამ არავინ — ქართულად, ამიტომაც ჩემი თანმხლები ქართველი გოგონა დამოუკიდებლად ვერავის ეკონტაქტება და ჩვენთან ერთად ეცნობა ადგილობრივებს.

— იცით ქართული? — ვეკითხები სომეხ და აზერბაიჯანელ მამაკაცებს.

— ვიცით, მაგრამ არ ვსაუბრობთ...

— რატომ?

— კი ვიცით, მაგრამ არ ვიცით (იცინიან). იცით, რა არის ყველაზე დადებითი და მნიშვნელოვანი საქართველოში? — აი, ასეთი გასაოცარი ტოლერანტობაა.

საუბარში ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ერთვება:

„მე მესმის ქართული, მაგრამ საუბარი მიჭირს. სამაგიეროდ, ჩემი შვილები სწავლობენ ქართულს. ერთი პირველ კლასშია, მეორე — მეორეში. ორივემ იცის ქართულიო“.

— როგორ გრძნობთ თავს საქართველოში? — ვეკითხები, სანამ დავემშვიდობებოდე.

— არაჩვეულებრივად! საქართველო ჩემი უსაყვარლესი ადგილია. ჩვენი სოფელი ხომ — თავისთავად!

GIPA-ს ჟურნალისტთა ჯგუფი

კონსტანტინოპოლმა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის ტომოსის ტექსტი დაამტკიცა

გარდა ამისა, წმინდა სინოდმა უკრაინის გაერთიანებული მართლმადიდებელი ეკლესიის წესდების ტექსტსაც დაუჭირა მხარი.

წმინდა სინოდის სხდომის შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სამდივნომ სპეციალური კომუნიკე გაავრცელა.

აღნიშნულ ფაქტს უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოსი უახლოეს მომავალში გამოაცხადებს გამაერთიანებელი კრების თარიღს, რომელზეც უკრაინის ეკლესია ავტოკეფალიის ტომოსს მიიღებს. უკრაინის ეკლესიის გამაერთიანებელი სხდომის თარიღი ჯერჯერობით არ დასახელებულა.

უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქე მამაკაცებს არ უშვებენ

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა მიკრობლოგის პირად გვერდზე დაწერა.

ქვეყანაში მოქმედი საომარი მდგომარეობის ფარგლებში შემოღებული აკრძალვა 16-დან 60 წლამდე მამაკაცებს შეეხებათ. უკრაინის სასაზღვრო სამსახური გამონაკლისს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუშვებს, თუ კონკრეტულ პირს უკრაინის ტერიტორიაზე შესვლა „ჰუმანიტარული მიზნით“ ენდომება.

პეტრო პოროშენკოს განმარტებით, აკრძალვის მიზანი, რუსეთის მხრიდან არსებული საფრთხეა. „უკრაინის გადაწყვეტილების მიზანია, რომ რუსეთმა უკრაინის ტერიტორიაზე „კერძო“ არმიის ფორმირება არ მოახდინოს, რომლებიც სინამდვილეში რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები არიან. ჩვენ რუსეთს არ უნდა მივცეთ უკრაინაში იმ ოპერაციის განხორციელების საშუალება, რომელსაც ისინი ჯერ კიდევ 2014 წელს გეგმავდნენ“, — დაწერა პოროშენკომ.

◎ ჭადრაკი

ნონა ჩემპიონობას არ თმობს

სლოვენიურ ბლედში დამთავრდა ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს შვიდი წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ სამივე სინჯის თითო მედალი დაიმსახურეს. 65 წელს გადაცილებულ ქალებში შესანიშნავად ითამაშა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრიდაშვილმა. თერთმეტი შესაძლებლობიდან მან 8.5 ქულას მოუყარა თავი და ჩემპიონობა მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ვერცხლის მედალოსანი ვალენტინა კოზლოვსკაია (რუსეთი). 7.5 ქულით ბრინჯაოს მედალი ერგო ლუდმილა ციფანსკაიას (ისრაელი). თამარ ხმიადაშვილი 6 ქულით მე-7 ადგილზე გავიდა.

50 წელს გადაცილებულ მამაკაცებში ბოლო ტურის წინ ჩემპიონობის შანსი რამდენიმე დიდოსტატს ჰქონდა. 8.5-8.5 ქულით პირველი-მეორე ადგილები კარენ მოვსესიანმა (სომხეთი) და გიორგი ბაღათუროვმა (თბილისი) გაინაწილეს. უარესი კოეფიციენტით ვერცხლის მედალი ბაღათუროვს ხვდა. 8 ქულით მესამე ადგილი ზურაბ სტურუამ დაიკავა. მართალია, 8-8 ქულა კიდევ რამდენიმე მოჭადრაკემ მოაგროვა, მაგრამ მათ ქართველმა დიდოსტატმა კოეფიციენტით აჯობა.

გივი გაგუა

სურათებზე: ნონა გაფრინდაშვილი; ზურაბ სტურუა (მარცხნივ) და გიორგი ბაღათუროვი.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ფეიქრიშვილი - „ბარბაროსებში“

საძვეყნოდ ცნობილი „ბარბაროსების“ შემადგენლობაში კიდევ ერთი ქართველი მორაგბე მოხვდა. ის უელსური „კარდიფის“ 31 წლის ბურჯი ანტონ ფეიქრიშვილი გახლავთ, რომელსაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 27 მატჩი აქვს ჩატარებული და მის აქტივში 30 ქულაა.

ცნობისთვის: ფეიქრიშვილი უკვე მე-6 ქართველი მორაგბეა, რომელიც "ბარბაროსების" მაისურს მოირგებს. აქამდე ვარსკვლავურ გუნდში მამუკა გორგოძეს, დავით ქუბრიაშვილს, დავით კაჭარავას, კოტე მიქაუტაძესა და მიხეილ ნარიაშვილს უთამაშიათ.

შეგახსენებთ, რომ „ბარბაროსებს“ წლის დასკვნითი მატჩი დღეს ელით, როდესაც ლონდონურ „თვიქნემზე“ არგენტინის ეროვნულ ნაკრებს გაეჯიბრებიან. შეხვედრა თბილისის დროით 18:30 საათზე დაიწყება. უკვე ცნობილია, რომ ფეიქრიშვილი მარქაფაში იქნება და თამაშში თადარიგიდან ჩაებმება.

კობა კობახიძე

◎ შაში

მასპინძელთა სამი მედალი

იყო დრო, საქართველოში შაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. გულშემატკივრებს განსაკუთრებით მაია მოსიძემ დაამახსოვრა თავი. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ბევრი იწერებოდა ჯუმბერ ბერიშვილის შესახებაც. 100-უჯრიან შაშში საერთაშორისო ოსტატი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი 1987 წელს კაპიტნად აირჩიეს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრებისა, რომელმაც იმავე წელს თანატოლებში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა მოიპოვა, თავად ქართველმა მოშაშემ კი პირადშიც დაიმსახურა მედალი — მესამე ადგილზე გავიდა. 2013 წელს ბერიშვილი ევროპის ჩემპიონიც გახდა.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ასევე, კარგად არის ცნობილი ქართველი მოშაშეების — იამზე წივწივაძისა და ლია ყაზარაშვილის სახელები. ქალბატონი იამზე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია, 1984 წელს ოდესაში 20-წლამდელთა საკავშირო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა 2013 წელს კი თბილისის ღია პირველობა მოიგო. ქალბატონი ლია საბჭოეთის დაშლამდე საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი იყო 100-უჯრიან შაშში, 1980 წელს საკავშირო ჩემპიონატში მე-7 ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს სოფლის მეურნეობის სპორტსმენთა „უროჟაის“ საკავშირო პირველობაში ყველას აჯობა, ხოლო 1988 წელს საკავშირო უნივერსიადაზე ბრინჯაოს მედალი ხვდა. იგი საერთაშორისო შაშში 1992 წლის პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულია. ამჟამად კასპში მუშაობს — სასპორტო სკოლასთან (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი) არსებულ შაშის სექციას ხელმძღვანელობს.

ბერიშვილი, წივწივაძე და ყაზარაშვილიც ბოლო რამდენიმე წელიწადია, სხვა ქართველ მოშაშეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში. მათი რაოდენობა საქართველოს შაშის გაერთიანებული ფედერაციისა და მის ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ კანდელაკის დამსახურებით საგრძნობლად მომრავლდა. ფედერაციის მესვეურებმა უკანასკნელ პერიოდში უდიდესი შრომა გასწიეს ამ უძველესი ინტელექტუალური სპორტის სახეობის საქართველოში ასაღორძინებლად. ასეთმა აქტიურობამ მსოფლიოს და ევროპული საშაშო ფედერაციების ყურადღება მიიპყრო — სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები სიამოვნებით ჩამოდიან ჩვენთან სათამაშოდ.

აი, ახლაც დედაქალაქის სასტუმრო „კალასში“ დამთავრდა 64-უჯრიან შაშში მსოფლიოს თასის გათამაშება. ასეთი მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირი ამ სახეობაში ჩვენთან არ ჩატარებულა. თბილისმა რვა ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით დასკვნით ეტაპს უმასპინძლა. შეჯიბრების ორგანიზატორები იყვნენ შაშის საერთაშორისო (პრეზიდენტი ვლადიმირ ლანგინი) და საქართველოს შაშის გაერთიანებული ფედერაციები (პრეზიდენტი ჯუმბერ ბერიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ კანდელაკი).

მედლები და მთავარი პრიზები სამ დისციპლინაში გათამაშდა: ბლიცში (პარტიისთვის 3-3 წუთი თითოეულ სვლაზე 2-2 წამის დამატებით), რაპიდსა (7-7 წუთი 3-3 წამის დამატებით) და კლასიკურში (20-20 წუთი 10-10 წამის დამატებით). მასპინძელთაგან განსაკუთრებით ქალებმა იყოჩაღეს, რომლებმაც სხვადასხვა სინჯის სამი მედალი დაიმსახურეს. რაპიდში 14 შესაძლებლობიდან 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედალი მოიპოვა თბილისელმა იამზე წივწივაძემ. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ რუსი მარია კრისკევიჩი და კასპელი ლია ყაზარაშვილი. უარესი კოეფიციენტით ბრინჯაოს მედალი ყაზარაშვილს ხვდა.

ქალთა შორის ბლიცში პირველობა არავის დაუთმო მარია კრისკევიჩმა. მეორე-მესამე ადგილებზეც მისი თანამემამულეები — სვეტლანა სტრელცოვა და ანა ფილიპენკო გავიდნენ. იამზე წივწივაძე მე-5 ადგილს დასჯერდა, ელენე ტატიშვილი მეექვსე იყო.

შარშან ევროპის თასზე ქალთა პირველ ათეულში ერთბაშად სამი ქართველი მოშაშე შევიდა: მე-4 ადგილი ელენე ტატიშვილმა, მე-5 — იამზე წივწივაძემ, ხოლო მე-8 ადგილი ლია ყაზარაშვილმა დაიკავეს. წლეულს ბულგარეთში წივწივაძემ და მისმა მეუღლემ — ინტერნეტ-ვერსიით ევროპის ორგზის ჩემპიონმა ლევან კიკნაძემ თანაბარი ქულებით მერვე-მეთერთმეტე ადგილები გაიყვეს.

თბილისში გამართულ მსოფლიოს თასზეც კლასიკურ შაშში ცოლ-ქმარმა 14 შესაძლებლობიდან 9-9 ქულას მოუყარა თავი. ბატონმა ლევანმა ვაჟებში მე-5 ადგილი დაიკავა (ბლიცში მან მესამე-მეხუთე ადგილები გაიყო, კოეფიციენტით კი მე-4 ადგილი ერგო), ქალბატონმა იამზემ კი მანდილოსნებში ვერცხლის მედალი მოიპოვა. მართალია, იულია ვეროვშჩინამაც (რუსეთი) 9 ქულა მოაგროვა, მაგრამ მას უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა და მთავარი პრიზიც დაისაკუთრა. 8 ქულით მარია კრისკევიჩი მესამე იყო. ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. შარუნას ნორვაიშასი (ლიეტუვა, 11 ქულა), 2. ანდრეი ვალიუკი (ბელარუსი, 10), 3. ანდრიუს კუბარტასი (ლიეტუვა, 10).

მსოფლიოს თასის თბილისურ ბატალიებში ზემოთ დასახელებული ჩვენებური სპორტსმენების გარდა მასპინძელთაგან პირველ ათეულში მოხვდნენ ჯუმბერ ბერიშვილი, ელენე ტატიშვილი და ალექსანდრე ბერუაშვილი.

ჯუმბერ ბერიშვილი: თბილისში ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ მედლებისთვის მსოფლიოს სამი ჩემპიონი იბრძოდა. განსაკუთრებით ქალებმა გაგვახარეს, რომლებმაც სამი მედალი დაიმსახურეს. სასპორტო იღბალიც რომ ყოფილიყო ჩვენს მხარეს, ლევან კიკნაძეს, სულ მცირე, ერთი მედალი მაინც უნდა მოეპოვებინა - კოეფიციენტმა დააღალატა. რაც შეეხება შეჯიბრებას, მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. დიდი მადლობა ყველას, განსაკუთრებით თბილისის მერ კახი კალაძეს თანადგომისა და დახმარებისთვის.

ვლადიმირ ლანგინი: საქართველოს დედაქალაქში უკვე მესამედ ვმართავთ მაღალი დონის შეჯიბრებებს 64-უჯრიან შაშში. ყველაფერი შესანიშნავადაა ორგანიზებული, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ზურაბ კანდელაკს. უპირველესად, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მასპინძლებიცა და სტუმრებიც კმაყოფილი ვემშვიდობებით თბილისს, ოღონდ 2019 წლის მარტამდე, რადგან სამი თვის შემდეგ აქ კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი — მსოფლიოს თასის გათამაშების პირველი ეტაპი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ქართველები, ჩვეულებისამებრ, მაღალ დონეზე ჩაატარებენ.

ლექსო ციცაძე

სურათებზე: ვლადიმირ ლანგინი გამარჯვებულებსა და პრიზიორებს აჯილდოებს; შაშის დაფასთან ლია ყაზარაშვილი (მარცხნივ) და იამზე წივწივაძე.

ვაჟა დანელიას ფოტო

◎ პროტესტი

მარადონა უკმაყოფილოა

არგენტინის ნაკრების ლეგენდარული კაპიტანი დიეგო მარადონა უკმაყოფილო დარჩა, როცა ლიბერტადორესის თასის გათამაშების ფინალის ესპანეთში, კერძოდ, მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადატანის ამბავი გაიგო.

„ეშმაკმა დალახვროს. რა უნდა ვქნა, თუკი ჩემს ოჯახს ფინალის ნახვა სურს? იცით, რა ღირს მადრიდში გადაფრენა? უბრალოდ, უსაფრთხოების ზომები უნდა გაეძლიერებინათ და ეთამაშათ იქ, სადაც დაგეგმილი იყო.“ — უთხრა დონ დიეგომ არგენტინულ Ole-ს. „რივერ პლეიტისა“ და „ბოკა ხუნიორსის“ პირველი ფინალური მატჩი ფრედ — 2:2 დამთავრდა. საპასუხო 24 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ გულშემატკივართა აგრესიული განწყობის გამო გადაიდო.

გიორგი შოთაძე

გოგა ხაინდრავას წინააღმდეგ ეკა გიგაურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა

საქალაქო სასამართლომ საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს თავმჯდომარის ეკა გიგაურის სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსამართლე ქეთევან კუჭავამ ჩათვალა, რომ სადავო განცხადებაში არ იყო ცილისმწამებლური ელემენტები და იყო მხოლოდ შეფასება გოგა ხაინდრავას მხრიდან. ეკა გიგაურის ადვოკატები საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას მიკერძოებულად მიიჩნევენ და მის გასაჩივრებას ჯერ სააპელაციოში, შემდეგ კი სტრასბურგის სასამართლოში აპირებენ.

„თავიდანვე ვაცნობიერებდით, ჩვენ არ შეგვქონდა სარჩელი დამოუკიდებელ სასამართლოში. ეს დაამტკიცა დღევანდელმა სასამართლომ და გამოიტანა ეს გადაწყვეტილება, რაც გამოიტანა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ავირჩიეთ სამართლებრივი გზა დავის, ჩვენ გავაგრძელებთ დავას, გავასაჩივრებთ სააპელაციო სასამართლოში,“ — განაცხადა თეონა ზაქარაშვილმა. მოპასუხე მხარის გოგა ხაინდრავას თქმით, ის სასამართლო განხილვებზე მხოლოდ იმიტომ დადიოდა, რომ საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, რას წარმოადგენდა გიგაური.

საქართველოს მუსლიმთა კავშირის უმაღლესი სამმართველოს უფროსი პატიმროებიდან გაათავისუფლეს

„ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრში“, რომლებიც ამ პროცესს სწავლობს, აცხადებენ, რომ ეს გადაწყვეტილება კითხვებს აჩენს. მათი თქმით, თავდაპირველად დასადგენია, რა ფორმით იყო პროცესში ჩართული ქართული მხარე და რატომ მოხდა მაინცდამაინც არჩევნების შემდეგ მირტაგ ასადოვის გათავისუფლება.

ცნობისთვის, ასადოვი, რომელიც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დამცველია, აზერბაიჯანის საზღვარზე წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს.

რელიგიურ და ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა აზერბაიჯანში შეიხი მირტაგ ასადოვის დაკავებასთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება 14 ნოემბერს გაავრცელეს. ხელმომწერი ორგანიზაციები შეშფოთებას გამოხატავდნენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ადგილობრივი პოლიციის მიერ სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს“ თავმჯდომარის, შეიხ მირტაგი ასადოვის თვითნებური დაკავების საქმეზე და საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებებს მოუწოდებდნენ, მიეღოთ დროული და ეფექტიანი ღონისძიებები დაკავებული სასულიერო პირის უფლებების აღდგენის მიზნით.

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)

განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეყანა: საქართველო

პროექტის ნომერი: P148048

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: SLRP III/CS/QCBS-10 კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: 12 გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის საზედამხედველო სამუშაოები შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 46 თვე (მოიცავს 12 თვეს დეფექტების პასუხისმგებლობის პერიოდს)

შერჩევის მეთოდი: ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა

შეფასების ვალუტა: ლარი

შეფასებული კონსულტანტი(ები):

დასახელება: JV Roads Rehabilitation and Modernization Supervision Direction Ltd (lead partner) and Nievelt Ingenieur Gmbh(partner)/Georgia/Austria

ტექნიკური ქულა: 84,29

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 535,283.78 ევრო და 1,853,000.00 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 3,469,056.99 ლარი

ერთიანი შეფასების ქულა: 87,43

საბოლოო ადგილი: I

დასახელება: JV EPTISA Servicios de Ingenieria S.L. (lead partner) and Tecnica y Proyectos, S.A-Typsa (Partner)/Spain/Spain

ტექნიკური ქულა: 88.05

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 9,666,180.00 აშშ დოლარი და 1,917,610.08 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 4,280,789.74 ლარი;

ერთიანი შეფასების ქულა: 86.65

საბოლოო ადგილი: II

დასახელება: JV of Yuksel Proje Uluslararasi A.S. (lead partner) and Yooshin Engineering Corporation (partner) in sub-consultancy with DG Consulting Limited/Turkey/Korea/Georgia

ტექნიკური ქულა: 79.53

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 5,047,000.00 აშშ დოლარი და 7,277,875.00 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 19,622,332.30 ლარი

ერთიანი შეფასების ქულა: 67.16

საბოლოო ადგილი: III

დისკვალიფიცირებული კომპანია(ები):

დასახელება: Pyunghwa Engineering Consultants Ltd (PEC) in sub-consultancy with IDM Ltd Korea/Georgia

ტექნიკური ქულა: ა/გ;

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: ა/გ;

დისკვალიფიკაციის მიზეზი: “ინსტრუქციები კონსულტანტებისათვის” პუნქტი 12.3 ის თანახმად, თუ კონსულტანტის წინადადებაში რომელიმე ექსპერტი წარმოდგენილი იქნება ამ ექსპერტის თანხმობის გარეშე, ასეთი წინადადება იქნება უარყოფილი და დისკვალიფიცირებული. შედეგად, კონსულტანტს მიენიჭა დისკვალიფიკაცია და მისი წინადადება უარყოფილი იქნა შემდგომი შეფასებისათვის;

გამარჯვებული კონსულტანტი(ები):

დასახელება: JV Roads Rehabilitation and Modernization Supervision Direction Ltd (lead partner) and Nievelt Ingenieur Gmbh (partner)/Georgia/Austria

ტექნიკური ქულა: 84.29

ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 535,283.78 ევრო და 1,853,000.00 ლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 3,469,056.99 ლარი

ერთიანი შეფასების ქულა: 87.43

საბოლოო ადგილი: I

საკონტრაქტო ღირებულება: 605,646.80 ევრო და 1,994,200.00 ლარი ადგილობრივი არაპირდაპირი გადასახადების ჩათვლით

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის მოადგილის

მედიკო კვარაცხელიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ გუნავა, ოთარ ჭითანავა, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე, ოთარ ტურაბელიძე თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარსა და კოლეგას, გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს რაულ ჩილაჩავას ძვირფასი მეუღლის

ია ჩილაჩავას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი ქართველი მწერლის რეზო ინანიშვილის მეუღლის, უკეთილშობილესი და სათნო ქალბატონის

როზა ინანიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ალექსანდრე კოტორაშვილი და გოგი თორაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მსოფლიოს ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გურამ გედეხაურს გარდაეცვალა მამა

ირაკლი გედეხაური

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნაირა და მარიამ რურუები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვენერა ჩიტუკაშვილი

და გულისტკივილით თანაუგრძნობენ მეუღლეს ოთარ კურცხალიას და შვილს თამუნა ბაზაძეს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი ანდრო ასლანიშვილი წარუდგინა.

პროფესიით იურისტს ანდრო ასლანიშვილს ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2013-2015 წლებში ღვინის ეროვნულ სააგენტოში ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის, ხოლო 2015 წლიდან ამავე სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტს იკავებდა. აღნიშნულ პერიოდში კოორდინაციას უწევდა ქართული ღვინის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას. 2018 წლის აპრილიდან აგვისტომდე ანდრო ასლანიშვილი ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა და რთველის საკოორდინაციო შტაბს ხელმძღვანელობდა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სწორედ 2018 წელს ჩატარდა თითქმის ბოლო 30 წლის მანძილზე ყველაზე წარმატებული და ორგანიზებული რთველი. ინსტიტუციური გაძლიერება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა — ეს ის მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია, რომლის განხორციელებასაც გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი გეგმავს.

სირიულ ავიაკომპანიებს ხარჯები გაეზარდათ

სირიულ ავიაკომპანიებს ხარჯები გაეზარდათ. ამის მიზეზი საქართველოს საჰაერო სივრცის ჩაკეტვა გახდა.

სირიულ ავიაკომპანიებს საქართველომ საჰაერო სივრცე სირიის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გამო ჩაუკეტა. ამის შესახებ Syrian Air-ის გენერალურმა დირექტორმა ტაიალ აბდულკარიმ განაცხადა.

◉ სულიერება

ღირსი მამა ილარიონ ქართველი

2 დეკემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს მამას ილარიონ ქართველს, რომელიც იყო კახელი აზნაურის შვილი (დონაურთა გვარიდან). მის მშობლებს სხვა შვილებიც ჰყავდათ, ილარიონი კი შობითგანვე ღვთისთვის იყო შეწირული.

აღსანიშნავია ის, რომ ექვსი წლის ყმა სასწავლებლად მიაბარეს ღირსეულ და ღმრთისმოყვარე კაცს. ილარიონი განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა. როცა მამამ იხილა შვილის გულმოდგინება და სიყვარული, იქვე სოფელში ააშენა მონასტერი, სადაც მალე თექვსმეტმა ბერმა მოიყარა თავი.

საგულისხმოა ისიც, რომ თორმეტი წლის ილარიონმა გადაწყვიტა განრიდებოდა მამის ზედმეტ ყურადღებას და ზედამხედველობას, დატოვა მონასტერი და გარეჯის მონასტერს მიაშურა. პოვა პატარა გამოქვაბული და იქ დაეყუდა. ის საოცარ მოღვაწეობას შეუდგა. „მარხვითა და მღვიძარებითა ჰასაკსა მას სიჭაბუკისასა დააჭკნობდა...“

ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ილარიონმა და მისმა თანამგზავრებმა ულუმბოს მთას მიაღწიეს, ერთი მცირე მიტოვებული ეკლესია იპოვეს და შიგ დაბინავდნენ.

მალე მთელმა თესალონიკემ გაიგო წმიდა ილარიონის მოღვაწეობის ამბავი, მრავალი მოდიოდა მასთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად თუ ღვთივსულიერი საუბრის მოსასმენად, მისმა სათნო ცხოვრებამ ბევრს გაუღვიძა საღვთო შური და ღირსი მამის ხელით მონაზვნობა მიიღო.

წმიდა ილარიონმა მთელი ცხოვრება თესალონიკეში გაატარა. თავისი აღსასრული მას წინასწარ ეუწყა უფლისგან, ქალაქის მთავარი დაიბარა, მადლობა უთხრა ყველაფრისთვის და ანდერძად გლახაკთა და მონაზონთა სიყვარული, სამართლიანობა და მოწყალება დაუტოვა.

გიული ლიპარტია

ვულოცავთ!

ელისაბედიც დაბადებულა

ამირან გოგიბერიძემ ბავშვობიდან გაიგო შრომის ყადრი. მალევე დაიმსახურა ვანელთა პატივისცემა, როცა საზკვების სისტემაში უნარიანი საქმიანობის გამო მარიფათა შეარქვეს.

სამტრედიელი ქალბატონის მანანა ადეიშვილის სახით უფალმა ცხოვრების საიმედო თანამგზავრი აპოვნინა.

გავიდა წლები, თითქოს შეუმჩნევლად დაფრთიანდა სამაგალითო წყვილის მონაგარი — ქალ-ვაჟმა საკუთარი ბედი გულის რჩეულებს დაუკავშირა.

და აი, ოჯახური იდილიის გვირგვინი — 21 ნოემბერს სამშობლოს დავით გოგიბერიძისა და მარიამ ცინცაძის პირველი ქალიშვილი, თვალხატულა ელისაბედი მოევლინა.

განსაკუთრებული მადლობა ბატონ დავით გაგუასა და მისი სამშობიარო კლინიკის თანამშრომლებს გულისხმიერებისა და პროფესიონალიზმისათვის.

მეგობართა სახელით,

გია პლატონიშვილი, მურთაზ ბერიძე

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

ლინდსი დევენპორტის ოჯახური იდილია

ანტიდასავლური პროპაგანდა ხშირად დაგვჩხავის იმას, რომ თითქოს დასავლეთის ქვეყნებში გარყვნილებაა ჩაბუდებული და ოჯახური ტრადიციები გაქრობის პირასაა. ეს მაშინ, როდესაც, მაგალითად, აშშ არის ქვეყანა, სადაც ოჯახის კულტი ძალიან ღრმადაა ფესვგადგმული და ამის მაგალითს თუნდაც ცნობილი სპორტსმენები გვაჩვენებენ.

შორს რომ არ წავიდეთ, ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი ლინდსი დევენპორტი ავიღოთ, რომელიც ოთხი შვილის დედაა და სპორტული კარიერის საბოლოოდ დასრულების შემდეგ მთელს დროსა და ენერგიას საკუთარ ოჯახს ახმარს. მისი მეუღლე ლინდსის ყოფილი მწვრთნელის ძმა ჯონ ლეჩმაა, რომელიც თავის ოჯახს ლამის ყოველდღე სახალისო სიურპრიზებს უწყობს და თუკი ვინმეზე ბედნიერი შეიძლება ითქვას, სწორედ ეს ოჯახია.

მათი ოჯახი უკვე თითქმის ორი ათეული წელია დიდ კერძო სახლს ფლობს სირივში, კალიფორნიის შტატში და ლინდსი თავისი ოჯახის წევრებთან ერთად მცირე მებაღეობა-მებოსტნეობით და მევენახეობითაც კია დაკავებული. დევენპორტს, ცხადია, წარმატებული და, შესაბამისად, დიდშემოსავლიანი სპორტული კარიერა ჰქონდა, მაგრამ დიდი ფული ყველას როდი აბნევს და აუცნაურებს...

ვიტალი ჯაფარიძე

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21.
599 79-76-79;
568 82-09-84

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6896; ევრო - 3.0543;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4346
100 რუბლი - 4.01851; თურქული ლირა - 0.5073;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5861;
1000 სომხური დრამი - 5.5513.

ამინდი 1 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+9
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+8
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge